გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N29 (9245) | 24 ოქტომბერი. 2017 წელი | ფასი 50 თეთრი


# ყველას საკუთარი გამარჯვების სჯეროდა

2



3

## საარჩევნო მოლოდინების და ემოციების კვალდაკვალ

## ერი პოლიტიკამ შთანთქა

4

*„თითოეული ქართველი ერთხელ თუ არ ჩამოვა, ყოველი ყველასი იქნება"*

6

## ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი 70 წლისაა



8

## ვალიკო კოპალეიშვილის ბიუსტი მისივე სახელობის სკვერში დაიდგა

10



## მამის სახელით



## სამტრედიელი ბავშვების ნახატები „თბილისობის" დღესასწაულზე

9

# ნაარჩევნებს



**თეა ბაბუნაშვილი**

კიდევ ერთი ხმაურიანი არჩევნების მოლოდინი, საზოგადოებას ოპოზიციური პარტიების წინასაარჩევნო განცხადებების, ოპოზიციას კი საზოგადოების ემოციების გამო ჰქონდა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, და ყველა არჩევნების დროს სურათი ასეთია, ოპოზიცია არჩევნების გაყალბებაზე, ხელისუფლება კი მის სამართლიანობაზე საუბრობს. მმართველ პარტიას ამჯერად უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს ამომრჩევლისგან, ვიდრე ხელისუფლებაში პირველად მოსვლისას. ეს ზოგისთვის პარადოქსია, მაგრამ ხელისუფლება ოპოზიციის ჩივილებს უსაფუძვლოს უწოდებს და უკვე მოგებული არჩევნების შემდეგ, შედეგების საბოლოო ლეგიტიმაციისთვის მოთმინებით ელოდება საჩივრების განხილვის პროცესის დასრულებას, რომელიც, როგორც ამბობენ, ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს არჩევნების საბოლოო შედეგებზე.

მისალოცი და საპროტესტო პოსტსაარჩევნო ხმაური ერთდროულად ჯერ ისევ ისმის საქართველოში. ჟურნალისტური დაკვირვებით სამტრედიის მაგალითზე იმის თქმა შეგვიძლია, რომ დღის პირველ ნახევარში მდორედ მიმდინარე საარჩევნო პროცესი, დღის მეორე ნახევარში გააქტიურდა და საბოლოოდ სამტრედიის №54-ე ოლქში 50 უბანზე 46 222 ამომრჩევლიდან 22 116-მა ამომრჩეველმა, ანუ დაახლოებით 48%-მა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია.

პროპორციული და მაჟორიტარული ოლქების მიხედვით მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა ასეთია:

**მერობის კანდიდატები**

№41 _ ვალერი ფოცხვერია, "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" _ 11 684 ხმა, 56%.

№5 _ მამუკა ბიბილეიშვილი, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" _ 4882 ხმა, 23%.

№2 _ ავთანდილ სტურუა, "ევროპული საქართველო" _ 2787 ხმა, 13%.

№8 _ კამო კანდელაკი, "პატრიოტთა ალიანსი" _ 702 ხმა, 3%.

№10 _ გიორგი ჯიმშელეიშვილი, "ლეიბორისტული პარტია" _ 280 ხმა, 1%

№ 20 _ იმედო გოგავა, "შენების მოძრაობა" _ 608 ხმა, 3%.

**პროპორციული სია**

№41 _ "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" _ 10 919 ხმა, 52%, 8 მანდატი.

№2 _ "ევროპული საქართველო" _ 2403 ხმა, 11%, 2 მანდატი.

№5 _ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" _ 4794 ხმა, 23%, 4 მანდატი.

№8 _ "პატრიოტთა ალიანსი" _ 902 ხმა, 4%, 1 მანდატი.

**მაჟორიტარი დეპუტატები**

ვახტანგ დუნდუა _ 1036 ხმა, ქალაქის № 1, 4 10, 42, 44 უბნები.

კობა ძიძიგური _ 988 ხმა, ქალაქის № 2, 11, 14, 41, 50 უბნები.

ზაზა ადეიშვილი _ 1233 ხმა, ქალაქის № 3, 12, 13, 39, 40, 43 უბნები.

ლაშა რუსია _ 1072 ხმა, ქალაქის № 5, 6, 7, 8, 9 უბნები.

გოჩა არველაძე _ 387 ხმა, კულაში.

კოტე ნაცვლიშვილი _ 232 ხმა, ბაში.

რაჟდენ ტორონჯაძე _ 88 ხმა, გამოჩინებული.

დავით ამაღლობელი _ 611 ხმა, გომი.

გრიგოლ ჩიგოგიძე 195 ხმა, გორმაღალი.

გოგი ლეჟავა 660 ხმა, დიდი ჯიხაიში.

მერაბ უღრელიძე _ 380 ხმა, ეწერი.

ვაჟა კოხრეიძე _ 320 ხმა, იანეთი.

ხვიჩა ფანცულაია _ 505 ხმა, მელაური.

ვაჟა სტურუა _ 717 ხმა, ნაბაკევი.

ტარიელ თევზაძე _ 200 ხმა, ოფეთი.

ბაია იმესაშვილი _ 338 ხმა, საჯავახო.

ილია მჟავია _ 586 ხმა, ტოლები.

ბადრი შენგელია _ 338 ხმა, ღანირი.

ყველა მაჟორიტარი დეპუტატი "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" წარმომადგენელია.

სამტრედიის № 54 საოლქო საარჩევნო კომისიის სახელზე 10 საჩივარი დაიწერა. როგორც კომისიის თავმჯდომარე, ნანა იმნაძე აცხადებს: "ყველა საჩივარი განვიხილეთ, 10-დან სამი უბნებზევე აღმოიფხვრა. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის განცხადებას, ერთ-ერთ უბანზე პატრულის მობილიზების და ხმების დაცვის საჭიროებაზე, პატარა ინციდენტი არა უბანზე, არამედ მის გარეთ შეიქმნა, უბრალოდ, ამომრჩევლის მობილიზება მოხდა. ყველა საჩივარი მხოლოდ მცირე პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა."

შემაჯამებელი ოქმის შედგენის ბოლო ვადა 2017 წლის 1 ნოემბერია, რის შედეგადაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ლეგიტიმაცია უდავო გახდება.

# ყველას საკუთარი გამარჯვების სჯეროდა

**თეა ბაბუნაშვილი**

**გამარჯვებას ყველა მათგანი საკუთარ თავს უწინასწარმეტყველებდა. იქამდე, ხმების სავარაუდო რაოდენობასა და პროცენტულობას დაბეჯითებით აანონსებდნენ. საზოგადოებისთვის საინტერესო და საჭირბოროტო საარჩევნო პროგრამითაც ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს. სანამ საარჩევნო ყუთები მოლოდინებს გაამართლებდა ან გააცრუებდა, მუნიციპალიტეტის თავკაცობისთვის თავგადადებული კანდიდატები საკუთარ თავს ხმას საკუთარ საარჩევნო უბნებზე აძლევდნენ. თუმცა არა მხოლოდ საკუთარ თავს, ყველა მათგანი აცხადებდა, რომ არჩევანი ქვეყნის კეთილდღეობასა და ღირსეულ ხვალინდელ დღეზე, სტაბილურობაზე, ტერიტორიულ ერთიანობაზე, შვილების ნათელ მომავალსა და უზრუნველ ხანდაზმულობაზე, სამართლიანობასა და სიმშვიდეზე, ევროპულ მისწრაფებებზე გააკეთეს. ბიულეტენს საკუთარი გათვლები გააყოლეს და საარჩევნო ურნაში მათივე ამომრჩევლის ნდობის პარალელურად, ნდობა, ბუნებრივია, საკუთარ თავს გამოუცხადეს.**

**საარჩევნო კოდექსში 2017 წელს შესული ცვლილებებიდან გამომდინარე ამიერიდან გამგებელი აღარ, მერი ეყოლება ყველა მუნიციპალიტეტს. თუმცა, სახელის ცვლილება არც თანამდებობრივ პასუხისმგებლობაზე მოქმედებს და არც თანამდებობრივი სკამის სითბოზე. დანაპირების ასრულება კი, როგორც ამომრჩევლის უმრავლესობა ფიქრობს, ახალი გადაწყვეტილების მიუხედავად, "ძველებურ რეჟიმში გაგრძელდება."**



ეწერში, მშობლიურ სკოლაში გახსნილ №22 უბანზე მისცა ხმა "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" მერობის კანდიდატმა, ვალერი ფოცხვერიამ. "მას შემდეგ, რაც "ქართული ოცნება" მოვიდა ხელისუფლებაში, არჩევნები დემოკრატიულად და გართულებების გარეშე მიმდინარეობს. ხმა "ქართულ ოცნებას", მის მაჟორიტარს ეწრის თემში, მერაბ უღრელიძეს და ვალერი ფოცხვერიას მივეცი." _ არ დაუმალავს მას.



მას შემდეგ, რაც დიდი ჯიხაიშის 25-ე უბანზე საკუთრი პარტია, პარტიის მაჟორიტარი და მერობის კანდიდატი შემოხაზა, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატმა, მამუკა ბიბილეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა: "მმართველი პარტიიდან დიდი ზეწოლის მიუხედავად, გამარჯვების იმედი მაქვს. ჩვენ ვიცით, რას ფიქრობს ხალხი. ამომრჩეველი კიდევ ერთხელ არ მოტყუვდება."

ადგილობრივ თვითმმართველობაში სერიოზული ცვლილებები ავთანდილ სტურუას ჩანაფიქრი და სურვილი გახლდათ საარჩევნო ბიულეტენით საკუთარი პოზიციის გამოხატვისას. ხუნჯულაურის №16 უბანზე მან საკუთარი პოზიცია დააფიქსირა და იქიდან გამოსული მოწინააღმდეგე, უფრო ზუსტად, მმართველი პარტიის წარმომადგენლებს და მაჟორიტარობის კანდიდატს მეზობლურად, ღიმილით მიესალმა _ მტრები კი არა, პოლიტიკის მიღმა უკვე არაერთი წელია მეზობლები და ერთ სოფელში გაზრდილი მეგობრები ვართო. წარმატებები, მეზობლობა-მეგობრობის თუ პროტოკოლის ხათრით, ხელის ჩამორთმევით უსურვა ერთმანეთს ორმა მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ძალამ.



45-ე უბანზე, კულაშის სამუსიკო სკოლის შენობაში იმედა გოგავამ საკუთარი პარტიის, "შენების მოძრაობის" სახელწოდების შესატყვისად, ქვეყნის, სამტრედიის მერის ამპლუაში კი სამტრედიის აღმშენებლობას გამარჯვების მოლოდინით მისცა ხმა. "შენება დაუყოვნებლივ დასაწყებია. გაუყალბებელი არჩევნების შემდეგ, ჩემი გამარჯვების შემთხვევაში, სამტრედიელებისთვის ეს მალევე გახდება თვალშისაცემი." _ ჟურნალისტური წარსულის მქონე იმედა გოგავა, საჭირბოროტო საკითხების დაუყოვნებლივ მოგვარების პირობას ბიულეტენის ურნაში ჩაგდებიდანვე აძლევდა ამომრჩეველს.

დღის ბოლოს რეალობა ვისთვის საცნაური, ვისთვის კიდევ უცნაური გახდა. ვისი იმედები გამართლდა, ვისიც უმოწყალოდ გაცრუვდა. დემოკრატიულობისა და გაყალბების ბრალდება-მოლოდინები მოსალოდნელ ხმაურში გადაიზარდა და საბოლოო შედეგზე დამორჩილებულ-დასამორჩილებელ ფაზაში გადაინაცვლა. ერთი თანამდებობისთვის მებრძოლი არაერთი კანდიდატი, სურვილის მიუხედავად, საარჩევნო დაფაზე არსებულ წესებს დანებდა.



# საარჩევნო მოლოდინების და ემოციების კვალდაკვალ

**ნათია ნაცვლიშვილი**

"სამტრედიის მაცნეს" ჟურნალისტთა გუნდი, ამჯერად უკვე მერამდენედ, მნიშვნელოვანი მოვლენის_ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების მიზნით, ადრიდანვე გამოვიდა ქუჩაში. ვიდრე ყუთებში ხმები ჩაცვივდებოდა და "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" დიდი უპირატესობით მოიგებდა, საარჩევნო უბნებზე დილის საათებში აქა-იქ რიგებიც გაჩნდა. თუმცა, მოსახლეობის აქტივობა მაინც დაბალი იყო. _ ნეტავი, დამკვირვებლების ოდენობის ამომრჩეველი მოდიოდესო, გვითხრეს მედიის წარმომადგენლებს კულაშის ერთ-ერთ უბანზე. სრული სიმშვიდე დაგვიხვდა ყველა უბანზე. ზოგ უბანზე დეპუტატობის კანდიდატებსაც შევხვდით. ოხერი რამაა საარჩევნო ფორტუნა, სამტრედიის ერთ-ერთი თემის კანდიდატმა კანდიდატს ოთხი ხმით აჯობა. და მაინც, იმედი ბოლოს კვდებაო, ნათქვამია, ყველა პოლიტიკური ძალის კანდიდატი ძალიან თავდაჯერებულად გამოიყურებოდა. ვიდრე მთელი დღის განმავლობაში დაგროვილ საარჩევნო ემოციას, ადრენალინს თუ პოლიტიკურ მოლოდინებს საღამოს დათვლილი და ოქმებში ასახული მონაცემები მეტეორივით გადაუფრენდა და ბევრი კანდიდატის იმედს ოთხი წლით ჩაფარცხავდა, ჩვენ 54-ე საარჩევნო ოლქის რამდენიმე უბანი შემოვიარეთ და ვითარება ავსახეთ.

მე-2 საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩეველი 8 საათსა და 10 წუთზე დაფიქსირდა, უბნის 880 ამომრჩევლისაგან 12 საათისათვის არჩევანი უკვე ჰქონდა გაკეთებული 132-ს. არც ერთი საჩივარი არ დაწერილა, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს არჩევნები, _ გვითხრა კომისის თავმჯდომარემ, მაყვალა ზამთარაძემ. მერვე საარჩევნო უბანზე სამი საათის შემდეგ მივედით, როცა ამომრჩეველი კანტი-კუნტად მოდიოდა, როგორც აქაურებმა გვითხრეს, შემოდგომის თბილ ამინდს ყანებში გასული მოსახლეობა მოსავლის ასაღებად მაქსიმალურად გამოიყენებდა და საარჩევნო უბნებს საღამოს საათებში მიაკითხავდა. მერვე უბნის კომისიის თავმჯდომარე, მაია გაბედავა: " 1349 ამომრჩეველი გვყავს, 224-მა გააკეთა არჩევანი ამ დროისათვის, ჯერ-ჯერობით არც ერთი პრეტენზია არ გამოთქმულა, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს ხმის მიცემა."

მე-7 საარჩევნო უბანზე 1391 ამომრჩეველია. 4 საათზე აქ უკვე იყო მისული 382 ამომრჩეველი. "ნორმალური აქტივობაა, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გვაკვირდება, არც ერთი პრეტენზია არ გამოთქმულა. _ გვითხრა უბნის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ონიანმა. მეექვსე საარჩევნო უბანზე 4 საათისათვის 397 ამომრჩეველი იყო მისული. _ უბანზე 1282 ამომრჩეველია, ნელ-ნელა, უწყვეტად მოდიან მოქალაქეები, რიგები არ წარმოქმნილა. _ გვითხრა უბნის კომისიის თავმჯდომარე თამარ თევზაძემ. 1206 ამომრჩევლიდან 382-ს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული 4 საათსა და 20 წუთზე. ამ უბნის კომისიის თავმჯდომარის, მაკა ჩაჩუას თქმით, მშვიდი და წყნარი საარჩევნო გარემო იყო და არავითარ ექსცესს ადგილი არ ჰქონია."

"სამტრედიის მაცნემ" კომენტარი სთხოვა მეორე საარჩევნო უბნიდან გამოსულ კობა ძიძიგურს, რომელიც ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იყო № 2 საარჩევნო ოლქში. "უნდა აღვნიშნო, დღევანდელ დღეს როგორც ამინდია მშვენიერი, ისე საარჩევნო გარემო. წყნარ, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს არჩევნები, რაც ჩვენი პოლიტიკური ძალის დამსახურებაა, პირადად მე ხმა მივეცი თავისუფალ და ეკონომიურად ძლიერ საქართველოს.

_ რომელიმე კანდიდატს მიიჩნევთ თქვენთვის ყველაზე კონკურენტუნარიანად თუ აბსოლუტურ უპირატესობაში ხართ დარწმუნებული?

_ ვერ ვიტყვი, რომ ყველაზე უკეთესი ვარ სამტრედიაში, ეს ასე ნამდვილად არ მიმაჩნია, მაგრამ, ის პოლიტიკური ძალა და ის ხელისუფლება, რომელიც ამჟამად არის, არის ყველაზე უკეთესი...

"ნაციონალური მოძრაობის" ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი № 4 საარჩევნო ოლქში, აკაკი მინაშვილი "სამტრედიის მაცნემ" მეათე საჯარო სკოლის წინ დააფიქსირა და კომენტარი სთხოვა: "ამ უბნის ამომრჩეველი ვარ, გავაკეთე არჩევანი უკეთესი სამტრედიის და უკეთესი საქართველოსთვის.

_ რამდენად დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში?

_ დარწმუნებული ვარ, ხმა მივეცი სამტრედიის ნათელ მომავალს."







# მოსახლეობას მავნებელთან ბრძოლის პრეპარატები დაურიგეს

**ნათია ნაცვლიშვილი**

***აზიური ფაროსანას შემოტევას სახელმწიფო პრევენციული ღონისძიებებით უპირისპირდება, რომელთა ქმედითობას უახლოეს მომავალში ვიგრძნობთ. სამტრედიის სოფლებს ფაროსანა ბოლო ხანს აქტიურად შეესია და ხილის, თხილისა და სიმინდის მოსავალი გაანადგურა. დისკომფორტი შეუქმნა ოჯახებს, მწერი ელვისებური სისწრაფით მრავლდება და ოთახებში ბუდობს. მწერთან საბრძოლველად სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაიწყო ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდის სახელწოდებით "ზონდერი" დარიგება. ამ პროექტს სურსათის უვნებლობის საგენტო ახორციელებს.***

***იმერეთის რეგიონში ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებები ვანის, ხონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტებში რიგდება.***

ჩვენს მუნიციპალიტეტში, სოფელ ილორში ქიმიური პრეპარატების დარიგების პროცესში, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან, დავით ბახტაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიასთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს იმერეთის გუბერნიის ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, დავით გორდელაძემ, რეგიონული პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსმა ზურაბ გაბიძაშვილმა და გუბერნიის აპარატის უფროსმა, გოჩა გაბუნიამ.

პრეპარატი "ზონდერი" 700 გრამი იხსნება 240 ლიტრ წყალში რაც ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთის ჰყოფნის შესაწამლად. მოსახლეობას ასევე ურიგდება ფერომონები, ანუ ე. წ. ხაფანგები, რომელიც მწერს სურნელით მიიტყუებს. "ზონდერით" შეწამვლა ხდება ნებისმიერი შესაწამლი აპარატით. მუნიციპალიტეტის სოფლებში უკვე დარიგდა ეს პრეპარატები. პროცესს კოორდინაციას მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე როსტომ თავაძე უწევს. "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში მან განაცხადა: "ყველას ოჯახში ფიზიკურად ვერ მივიტანდით, სოფლებში, ადმინისტრაციულ სახლებში მივიტანეთ და გადავეცით მოსახლეობას, ვინც მისვლა ვერ შეძლო, მას ადგილზევე მიუტანეს, ერთი რამ მინდა ვუთხრა მოსახლეობას: ეფექტურად რომ განვახორციელოთ ეს ღონისძიებები, მოსახლეობის მხარდაჭერა გვჭირდება. პრეპარატებთან ერთად ვურიგებთ ბუკლეტებს, სადაც ნაჩვენები და აღწერილია, თუ როგორ შეუძლიათ მათ ოჯახურ პირობებში გააკეთონ ფაროსანას მისატყუებელი, მარტივი კონსტრუქციის მუყაოს ან სხვა მასალის თავშესაფარი, რომელშიც მჭიდროდ თავსდება კვერცხის ჩასაწყობი მუყაოს ფირფიტები, ან მსგავსი მასალა. აღნიშნულ თავშესაფრებს გამოსაზამთრებლად დაძრული ფაროსნების მიზიდვის მიზნით სახლის მახლობლად ათავსებენ, მავნებელს აგროვებენ და მექანიკურად ანადგურებენ. მოგეხსენებათ, ბიფენტრინის შემცველი პრეპარატის სახლში, საცხოვრებელ ფართში გამოყენება დაუშვებელია, ქიმიური წამლობა უნდა მოხდეს პირბადითა და დამცავი ხელთათმანებით. მოსახლეობის მხარდაჭერა გაგრძელდება, მაგრამ რა ფორმით, ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიყენებთ ამ საშუალებებს."



ილორის მცხოვრებმა მალვინა ჯანჯალიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ დაგვიანებით მოხდა ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა და თხილის მოსავალი გაუნადგურდათ. კომპეტენტური პასუხი მათ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონალური სამმართველოს ინსპექტორმა, მიხეილ სხვიტარიძემ გასცა. მისი თქმით, აპრილსა და მაისში წვიმების პირობებში შეწამვლა ვერ მოხდა, რადგან მაშინ პრეპარატის მოქმედება ეფექტური ვერ იქნებოდა.

მიხეილ სხვიტარიძე: " დღეს ვარიგებთ წამალს და სატყუარას, რომელიც ხეზე დაიკიდება და მწერს მიიზიდავს, მწერი მოგროვდება და შემდეგ მოხდება შეწამვლა, მოსახლეობამ მექანიკური მეთოდებითაც უნდა განახორციელოს მავნებლის განადგურება, ერთი მეთოდია ყუთების დადგმა, ასევე შეგვიძლია საპნიანი წყლით სავსე რეზერვუარი და მის ზემოთ ნათურა, იდეალურია მტვერსასრუტი. მწერი აუცილებლად უნდა დაიწვას".

"ჩვენ უკვე დავასრულეთ ფაროსანას გასანადგურებელი საშუალებების დარიგების პროცესი, მოსახლეობა კმაყოფილია. _ განუცხადეს "სამტრედიის მაცნეს" მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ტოლების თემში ალექსანდრე ბოცვაძემ და გამგებლის წარმომადგენელმა საჯავახოს თემში შავლეგ თარგამაძემ.





# "ქართული ოცნების" სამტრედიის მერობის კანდიდატმა წინასაარჩევნოდ პრესკონფერენცია გამართა




**ლევან გაბეჩავა**

ყოველი საათი გვაახლოვებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან.

წინა საარჩევნოდ "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" სამტრედიის მერობის კანდიდატმა ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ პრესკონფერენცია გამართა.

ვალერიანე ფოცხვერია მედიის წარმომადგენლებს მიესალმა და დასმულ კითხვებს ამომწურავი, არგუმენტირებული პასუხები გასცა.

მერობის კანდიდატმა ისაუბრა ხელისუფლებაში "ქართული ოცნების" მოსვლის შემდეგ ქვეყანაში განხორციელებულ ღონისძიებებზე.

ჯანდაცვის რეფორმა, უფასო მშობიარობა, უფასო ბაღები, სასწავლო

სახელმძღვანელოები... არავინ უარყოფს, მე მგონი, ეს რეფორმები საყოველთაო მოწონებას რომ იმსახურებს. უფასო ბაღები, სასწავლო სახელმძღვანელოები შვებაა ოჯახებისთვის.

რაც შემეხება პირადად მე, სამი წელი და სამი თვე გახლდით მუნიციპალიტეტის გამგებელი, ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი მოთხოვნა ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობისაგან გაზიფიცირება იყო. ამაყად შემიძლია ვთქვა, რომ სამტრედიის მაღალმთიან სოფლებშიც კი ეს საკითხი გადაჭრილია, ბატონი კახი კალაძის თანადგომითა და ძალისხმევით.

მუნიციპალიტეტში უგზოობის პრობლემა არ არსებობს, მიმდინარეობს მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების მოწესრიგება რომელიც მომავალშიც გაგრძელდება და ა. შ.

ოპოზიცია ლაფს გვესვრის, არავითარი 11 მანქანა, გამგეობას 5 მანქანა ემსახურება, რაც შეეხება პენსიების მატებას, იგი ცენტრალიზებული წესით ხდება, მთელი გამგეობა სახლში რომ გავუშვათ, პენსიის მატება მხოლოდ ლარნახევრითაა შესაძლებელი, არათუ 20 ლარით.

მე შევეჯიბრები ჩემს წინამორბედებს ნაკეთებ საქმეებში.

მერად არჩევის შემთხვევაში პრიორიტეტს ახალგაზრდებსა და გამოცდილ კადრებს მივანიჭებო...

პასუხი გასცა ბატონმა ვალერიანე ფოცხვერიამ ჟურნალისტთა შეკითხვებს.

შეკითხვები კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენი ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის, სამტრედიისთვის სასიცოცხლო და საჭირბოროტო საკითხებს შეეხებოდა.

# ნაარჩევნებს არჩევნებამდე გამართულ პრესკონფერენციაზე

**თეა ბაბუნაშვილი**

***იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენი გაზეთის პერიოდულობიდან გამომდინარე, არჩევნებამდე გამართულ ამ პრესკონფერენციას 21 ოქტომბრამდე ვერ გავაშუქებდით, "ევროპული საქართველოს" სამტრედიელმა ლიდერმა სასაუბროდ მაინც მიგვიწვია. "რა მნიშვნელობა აქვს როდის გააშუქებთ, მთავარია, საზოგადოებამდე მივიდეს!" _ დავდეთ "შეთანხმება".***




საუბრის უპირველესი თემა ფაროსანა გახლდათ. ავთანდილ სტურუა სახელმწიფოს მის წინააღმდეგ გასატარებელი სამუშაოების დაგვიანებაში ადანაშაულებს. "უკვე სამ წელზე მეტია, სამტრედიის და ზოგადად, დასავლეთის მოსახლეობას ინტენსიურად რომ უტევს აზიური ფაროსანა. მეორე წელია სამტრედიელებმა, რომელთა შემოსავლის ძირითადი წყარო თხილის მოსავალია, ვერ მიიღეს იგი. პარალელურად მავნებელმა სიმინდის მოსავლის განადგურებაც დაიწყო. დაახლოებით ერთი კვირის წინ "ევროპული საქართველოს" სამტრედიის წარმომადგენლებმა მთავრობის კანცელარიაში ხელმოწერები შევიტანეთ სამთავრობო კომისიის შექმნის მოთხოვნით. კომისიის შექმნას ზარალის დასათვლელად და ასანაზღაურებლად ვითხოვთ, რადგან სახელმწიფოს ბრალი მავნებლის გამრავლებაში დიდია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ჯერ კიდევ 2016 წელს გაანადგურა თხილის მოსავალი აზიურმა მწერმა. გამოზამთრების შემდეგ, 2017 წელს მის წინააღმდეგ ღონისძიებები დაგვიანებით გატარდა. ისინი აპრილ-მაისში უნდა დაწყებულიყო და ივნისში ფაქტობრივად დასრულებული უნდა ყოფილიყო. მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომლის წევრიც მე გახლავართ, შემოსული განცხადების საფუძველზე, 2017 წლის ივნისში საჭირო თანხები გამოყო შესაბამისი სამუშაოების დასაწყებად. სამუშაოები კი ივლისის ბოლოს დაიწყო, როცა მას არანაირი ეფექტი არ ჰქონდა. ამიტომ არის ხელისუფლების გულგრილობის შედეგი მოსავლის განადგურება და მანვე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ საქმის გამოსასწორებლად. მივმართავ პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას გაარკვიოს ამ საქმეში ადგილობრივი ხელისუფლების ბრალეულობა. და თუ ეს ასე არ იქნა, ჩვენი ინიციატივით 21 ოქტომბრის შემდეგ, როცა ჩვენ ამომრჩევლის მხარდაჭერას მივიღებთ, სამტრედიელებთან ერთად შევქმნით ზარალის დამთვლელ კომისიას, რომლის მონაცემებსაც მთავრობას გადავუგზავნით ასანაზღაურებლად. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2017 წლის 12 ოქტომბერს მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც მოსახლეობას შესაწამლი ნივთიერება "ზონდერი" გადაეცემა ღია სივრცეში მავნებლის შესაწამლად. მაგრამ, ვერც ამჯერად გამოიყენებს მოსახლეობა წამალს, რადგან ოქტომბრის ბოლოსთვის მისი გადაცემა დაგვიანებული და შესაწამლად არაეფექტურია."

ეს გახლდათ პირველი განცხადება, რის გასაცნობადაც ავთანდილ სტურუამ ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე მიიწვია. თუმცა მას პასუხების გაცემა სხვა კითხვებზეც მოუწია. კითხვას, ოპონენტები "ევროპულ საქართველოს "ქართული ოცნების" სატელიტ პარტიად მოიაზრებენ. რას გაძლევთ ოპოზიციურ ძალას სახელისუფლებო პარტიასთან წილნაყარობა? "ევროპული საქართველოს" სამტრედიელი ლიდერი პასუხობს: "ჩვენ ევროპული მიზნების, ევროპული ხედვის პარტია ვართ, ძალიან ძლიერი და პროგრესული ძალა და სერიოზული პრობლემა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ ოპოზიციისთვისაც. ამიტომ, ოპოზიცია ხელისუფლებასთან ალიანსს, ხელისუფლება კი "ნაციონალურ მოძრაობასთან" ურთიერთკავშირს გვაბრალებს. ჩვენ კი ამომრჩეველთან ერთად ვართ, როგორც მათი პრობლემების რეალური მომგვარებელი და ქვეყნის წარმატებული მმართველი."

მკითხველს ემახსოვრება წინასაარჩევნო პერიოდში "სამტრედიის მაცნეში" დაბეჭდილი ავთანდილ სტურუას "მოკრძალებული პასუხი ემზარ შუბლაძეს". თითქმის ერთი წლის წინ გაკეთებულ მის კომენტარზე, რომელიც ავთანდილ სტურუას ეხებოდა, სცემდა პასუხს "ნაციონალური მოძრაობის ლიდერს. ემზარ შუბლაძის საპასუხო წერილის შემდეგ ავთანდილ სტურუა მას აღარ გამოპასუხებია. ამ საკითხის ირგვლიც ჟურნალისტის დაინტერესება მან იმით დააკმაყოფილა, რომ ემზარ შუბლაძეს ნაარჩევნებს უპასუხებს. "რადგან საარჩევნო პერიოდი იყო, არ მინდოდა ეს თემა სარეკლამოდ ჩათვლილიყო. ნაარჩევნებს პასუხს მოგიტანთ დასაბეჭდად. ჩემი დაგვიანებული წერილი განაპირობა იმან, რომ დრო მივეცი ჩემს ოპონენტს მის არაეთიკურ კომენტარზე ბოდიშის მოსახდელად ან სიტუაციის გასარკვევად. არჩევნების შედეგების მიუხედავად მე ვუპასუხებ ემზარ შუბლაძეს, რადგან ეს საარჩევნო თემა არ გახლავთ და არც ჩვენი პარტიაა მხოლოდ არჩევნების შედეგებზე ორიენტირებული."

დღეს ოპოზიციაში მყოფი წარსულში სახელისუფლებო პარტია და მასთან ერთად სხვა ოპოზიციური ძალები დღევანდელ სახელისუფლებო პარტიას სახელისუფლებო რესურსის წინასაარჩევნოდ გამოყენებაში ადანაშაულებს. ავთანდილ სტურუას ჟურნალისტებმა ის დრო შეახსენეს, როცა ხელისუფლებაში ყოფნის დროს მისი პარტია სწორედ ამ რესურსს იყენებდა არჩევნებში სასურველი შედეგის მისაღებად. მან მედიის წარმომადგენლებს განუმარტა: "მართალი გითხრათ, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მოლოდინი მქონდა, რაღაც მართლა შეიცვლებოდა. იმ არაერთი დაპირებიდან უმრავლესობა შესრულდებოდა, რადგან დაპირებების უკან დიდი ფინანსური რესურსი იდგა. და როგორც 2012 წელს უთხრა საზოგადოებამ ხელისუფლებას უარი დაპირებების შეუსრულებლობის გამო, ისე ეტყვის მოახლოვებულ არჩევნებზეც. რაც შეეხება სახელისუფლებო რესურსის გამოყენებას, დიახ, ასეთი შეცდომების გამოც მაშინდელი ხელისუფლება აღარ არის ხელისუფლებაში. ის ადამიანები, რაც მაშინ შეცდომად და არასწორად მიაჩნდათ, დღეს თავად აკეთებან იმას!"

პარტიების ცვლას საზოგადოება ნაკლად უთვლის ავთანდილ სტურუას. თავად როგორ ფიქრობთ, არის ეს ნაკლი პოლიტიკოსისთვის? ჟურნალისტის ამ კითხვაზე "ევროპული საქართველოს" მერობის კანდიდატი პასუხობს, რომ "ალორძინების დატოვების მიზეზი ჩემთვის გახლდათ ის, რომ მე, პატიაშვილის მხარდამჭერს პარტიამ მთხოვა მხარი შევარდნაძისთვის დამეჭირა. მოგეხსენებათ, საქართველოსთვის რას ნიშნავდა მაშინ შევარდნაძის მხარდაჭერა _ ეს იყო კვლავ დავთანხმებოდით უშუქობას, უგზოობას და ქვეყნის რღვევას, როგორც ეკონომიკური, ისე მორალური თვალსაზრისითაც. მე ჩემს პრინციპებს ვერ ვუღალატე მაშინ და იმ ძალის გვერდით დავდექი, აღმშენებლობისთვის რომ მოდიოდა ხელისუფლებაში. მოვედით ხელისუფლებაში და პირველ წლებში ქვეყანა ქვეყანას დავამსგავსეთ. "ნაციონალური მოძრაობიდან" წასვლის მიზეზიც ქვეყნის და ხალხის სასიკეთო პრინციპებიდან გადახვევა გახლდათ. ამიტომ ავირჩიე "ევროპული საქართველო." მე პრინციპებს არ ვღალატობ, ჩემს პრინციპებს, რომელიც ქვეყნის კეთილდღეობას გულისხმობს."

არჩევნებამდე ორი დღით ადრე ავთანდილ სტურუას გამარჯვების მტკიცე რწმენა ჰქონდა. მან ჟურნალისტების კიდევ ბევრ კრიტიკულ შეკითხვას უპასუხა და მედიასთან თანამშრომლობის სურვილი სამომავლოდაც გამოთქვა.

# ერი პოლიტიკამ შთანთქა

მერედა როგორ!

დღეს საქართველოში ყველა პოლიტიკოსობას იჩემებს, რომ არაფერი ვთქვათ ჭეშმარიტ პოლიტიკოსებზე.

ქართულმა მაქსიმალისტობამ თავი აქაც იჩინა და ისე ჩავერთეთ ერი და ბერი, ჩინიანი და უჩინო, ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა პოლიტიკაში, რომ ჩვენი ძირითადი საქმე, ლამის, დაგვავიწყდა.

არჩევნებში მონაწილეობა ბევრს, უბრალოდ, აზარტად რომ ექცა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება.

გასული წელი "ვეფხისტყაოსნის", რუსთაველის წლად იყო გამოცხადებული მსოფლიოში და რუსთაველის სამშობლოში არ (ვერ) აღინიშნა ეს მოვლენა სათანადოდ(?!)

წლევანდელი წელი ილია ჭავჭავაძის (ილია მართლის) საიუბილეოა, დაბადებიდან 180-ე, გარდაცვალებიდან 110-ე წლები სრულდება, მაგრამ არსაიდან ხმა, არსით ძახილი!

ჯერ კიდევ შარშან დაანონსდა, რომ 2017 წელი საიუბილეო იყო, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია მეორისათვის.

პატრიარქის აღსაყდრებიდან მე-40 წლისთავი გრანდიოზულად უნდა აღნიშნულიყო, მრავალფეროვანი საერო და სასულიერო, რელიგიური ღონისძიებები უნდა მიძღვნოდა მოვლენას, სამაგიეროდ, ჩვენდა საოცრად და სამწუხაროდ, საპატრიარქოს ირგვლივ ატეხილმა დავიდარაბამ გაგვაოგნა!

სამაგიეროდ, როგორც აღვნიშნეთ, ყველანი პოლიტიკაში გადავეშვით, საამისოდ კი ქვეყანაში ნოყიერი ნიადაგია, ადგილობრივი, საპრეზიდენტო, საპარლამენტო არჩევნები...

ირონია იქით იყოს და არც ჭეშმარიტ პოლიტიკოსებს და არც პოლიტიკაში დილეტანტებს ძირითადი საქმე არ უნდა დაგვავიწყდეს, არ უნდა შევწიროთ ყველაფერი პოლიტიკას.

ერი არ უნდა შთანთქოს პოლიტიკამ.

**ლევან გაბეჩავა**

# გილოცავთ, ჩვენო გაზეთო!

*"იმისთანა წმინდა საქმეში როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებითა და ჭორებით თავის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია".*

*ილია ჭავჭავაძე.*

**ლევან გაბეჩავა**

საკუთარ დაბადების დღესავით ახსოვს რედაქციის თითოეულ თანამშრომელს, გაზეთის ერთგულ მეგობრებს 5 ნოემბერი, ჩვენი გაზეთის დაბადების დღე, როცა "სოციალისტური შეტევას" პირველი ნომერი გამოვიდა.

სხვა დრო იყო მაშინ, სხვა პოლიტიკური ფორმაცია.

წელთა სრბოლამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ღირებულებების გადაფასებაც გამოიწვია, ბევრი რამ შეიცვალა.

"სოციალისტური შეტევა" "წინსვლამ", "წინსვლა" "სამტრედიის მაცნემ" შეცვალა, თუმცა, არ შეცვლილა რედაქციის თანამშრომელთა დამოკიდებულება გაზეთისადმი, პროფესიისადმი, მკითხველისადმი.

მრწამსისთვის არასდროს უღალატია გაზეთს.

ვერავინ ნახავდა, ვერც ნახავს ჭარმაგი გაზეთის ფურცლებზე წამქეზებლურ ინფორმაციებს, მშვიდობა კი, მშვიდობა ბევრჯერ დაუმკვიდრებია დაპირისპირებულთა შორის, ბევრისთვის მიუცია რჩევა კეთილი, შეუქია მარჯვენა, უთქვამს მადლობა.

87 წლის ხდება 5 ნოემბერს ბევრი ავ-კარგის მნახველი ჩვენი გაზეთი, სამტრედიელთათვის ერთ-ერთ ბეჭდვურ გამოცემად რომ რჩება დღემდე და უტყუარ ამბავთა მაცნედ და მთხრობელად.

სიბერე რას მიქვიან, წელთა სვლა მხოლოდ სიბრძნეს, წინდახედულებას სძენს ლამის 9 ათეული წლის გაზეთს, რომლის ირგვლივაც ყოველთვის იყვნენ შემოკრებილნი ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის, ახალგაზრდობის მშრომელთა ღირსეული წარმომადგენლები.




"სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში დასაქმებული ადამიანები არ ვივიწყებთ ჩვენს წინამორბედებს, მათ, ვინც გაზეთი, არაერთი გასაჭირის მიუხედავად, დღემდე მოიტანეს, ბევრნი, ბევრნი არიან ისინი.

არც იმ ადამიანთა დავიწყება შეიძლება, ძირითად სამუშაოსთან ერთად გაზეთთან თანამშრომლობით რომ იყვნენ დაკავებულნი.

დღესაც ჩვეული სიყვარულით თანამშრომლობენ, კითხულობენ ჩვენს გაზეთს ბატონები: ბორის კახიანი, რევაზ შამათავა, ანტონ გეგეშიძე, მერაბ ჩაჩავა, თეიმურაზ ჯულაყიძე, აკაკი რუხაძე, დავით ჩირგაძე, ვალერიანე თევზაძე, იორამ ნიკოლეიშვილი, ილია ლეკვეიშვილი, გია ბოჭორიშვილი, რევაზ კანდელაკი, გიგანტი ბიბილეიშვილი, რაულ ხუჭუა, სოსო დუნდუა... ქალბატონები: ზაირა გრიგოლია, მაყვალა კანდელაკი, მაყვალა ჩირგაძე, ნათელა გელეიშვილი, ლიზა კრავეიშვილი, ნინო ტონია, ნინო ნინუა...

წარდგენა არ სჭირდება სამტრედიელთა წინაშე ბატონ ვაჟა თვალავაძეს. ღვაწლმოსილი პროფესორი სიხარულით ეხმიანება მშობლიური რაიონისათვის ყველა მნიშვნელოვან, ღირსსახსოვარ თარიღს, ფაქტს, მოვლენას, ასეა ამჯერადაც, 5 ნოემბრის წინა დღეებში შეგვეხმიანა ბატონი ვაჟა და დიდი სიყვარულით სითბოთი და პატივისცემით მოგვილოცა რედაქციის თანამშრომლებს, მრავალრიცხოვან მკითხველს გაზეთის დაარსებიდან 87-ე წელი, გაიხსენა უფროსი თაობის ჟურნალისტებთან მისი ურთიერთობები და კეთილი სურვილებით შეხვედრამდე დაგვემშვიდობა.

რაც შეეხება გაზეთს, ყოველ ახალ ნომერს ინტერნეტით ვეცნობიო დასძინა პროფესორმა ბატონმა ვაჟა თვალავაძემ.

მადლობა მას ყურადღებისთვის და მოლოცვისთვის.

...

დღეებიღა დარჩა 5 ნოემბრამდე.

გაზეთის იუბილეს ვულოცავთ ჩვენს ვეტერანებს, ქალბატონ ნაზი კიკაჩეიშვილს, ბატონებს კორნელი ჩიხლაძეს, რომან ბექაიას, მიხეილ ნიკოლეიშვილს მადლობა მათ რედაქციაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის.

წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს უმცროს კოლეგას, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდა შოთიკო პაპავას, რომელიც საქართველოს დედა უნივერსიტეტში ეუფლება სწავლას.

კიდევ ერთი წლით დაბრძენებას ვულოცავთ 87 წლის "სამტრედიის მაცნეს".

დიდხანს გვენახოს კეთილ ამბავთა მაცნედ, მთხრობელად მკითხველთათვის საყვარელი ჩვენი გაზეთი.

# 25 წელი საერთაშორისო თანამეგობრობაში



**ლევან გაბეჩავა**

1945 წლის 24 ოქტომბერს ოფიციალურად შეუდგა მოვალეობის შესრულებას 51 სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

გაეროს 39 სართულიანი შტაბ-ბინა ნიუ-იორკში, კუნძულ მანჰეტენის აღმოსავლეთით მდებარეობს.

25 წლის წინ, 1992 წლის ივლისში საქართველო ოფიციალურად გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი სახელმწიფო.

"დღეს საქართველოს ხელმეორედ დაბადების დღეა, როგორც ყველა ყრმა, ყველა ჩვილი თავის დედაენაზე აიდგამს ხოლმე ენას, ასევე მეც თავს უფლებას ვაძლევ, პირველი სიტყვები გაეროში, მსოფლიო თანამეგობრობის უმაღლეს ფორუმზე, ჩემ მშობლიურ ენაზე, ქართულად წარმოვთქვა.

... მსურს გულითადად მადლობა გითხრათ ყველას, ვინც მხარი დაუჭირა საქართველოს მისწრაფებას, გამხდარიყო გაეროს წევრი, ყველას, ვინც დასაწყისიდანვე თავს ამ მსოფლიო ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად გვაგრძნობინებდა..."

ეს გახლავთ ამონარიდი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჩიკვაიძის გამოსვლიდან, რომელიც გაეროში საქართველოს გაწევრიანებას მიეძღვნა.

სამაჩაბლოში, აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამკვირვებლებისა და სამშვიდობოების აქტიური მხარდაჭერითა და ჩართულობით მიღწეული იქნა სისხლისღვრის შეწყვეტა, დაჩქარდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის ცეცხლის შეწყვეტის პროცესი.

საქართველო, როგორც სრულუფლებიანი წევრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, პირნათლად ასრულებს საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც ამ ორგანიზაციის წევრობით აქვს ნაკისრი.

24 ოქტომბერს გაეროს შექმნის დღე აღინიშნება!



# მატარებელი შემოდის პირველ ლიანდაგზე

მგზავრებით გაჭედილ ბაქანს ვიდრე ეს სიტყვები აახმიანებს, არავინ იცის, თუ რა სამუშაოს შესრულება უწევთ რკინიგზელებს, კერძოდ მათ, ვინც მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანასა და ათეული ტონობით ტვირთის ასევე უსაფრთხო გადაზიდვაზე არიან პასუხისმგებელნი.

ამ დღეებში ქართველმა რკინიგზელებმა პროფესიული დღე აღნიშნეს.

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობამ ამჯერადაც სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული რკინიგზელები გამოავლინა, წაახალისა და ასე ლამაზად მიულოცა პროფესიული დღე.

მრავალრიცხოვან დაჯილდოებულთაგან "სამტრედიის მაცნე" რამდენიმეს გაესაუბრა და აღიარებაც მიულოცა.

მათ შორის არიან: საქართველოს რკინიგზის მოძრაობის უსაფრთხოების ინსპექციის დასავლეთი რეგიონის მოძრაობის უსაფრთხოების ინსპექციის უფროსი **გელა უკლება**, რომელსაც "საპატიო რკინიგზელის" წოდება მიენიჭა.

"ვეტერანი რკინიგზელის" საპატიო წოდება მიენიჭა დასავლეთის რეგიონის მოძრაობის უსაფრთხოების ინსპექციის უფროსის მოადგილეს **რობერტ ამაღლობელს**, ხოლო "მოძრაობის უსაფრთხოების საუკეთესო დამცველი" გახდა მოძრაობის უსაფრთხოების ინსპექტორი **რევაზ გულიაშვილი**.

გვინდა ვისარგებლოთ "სამტრედიის მაცნეს" საშუალებით და პროფესიული დღე მივულოცოთ არა მარტო გამარჯვებულებს, არამედ ყველა რკინიგზელს, მადლობა ვუთხრათ საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელებს ჩვენი შრომისა და გარჯის დაფასების, აღიარებისათვის. _ განაცხადეს ჩვენთან საუბარში ბატონებმა რობერტ ამაღლობელმა და გელა უკლებამ.

ჩვენი მხრივაც წარმატებებს ვუსურვებთ და აღიარებას ვულოცავთ რკინიგზელთა ქალაქის აღიარებულ რკინიგზელებს.

***ლევან გაბეჩავა***

# პროფესიული განათლების მიღების მსურველების რეგისტრაცია მიმდინარეობს

5 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში მიმდინარეობდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა რეგისტრაცია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროგრამებზე რეგისტრაციის უფლებას აძლევდა საბაზო და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებს. აგრეთვე რეგისტრირდებოდნენ სპეციალური და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები. მათ დასაქმებას მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს. ისინი ძირითადად ტექნიკური უნივერსიტეტის სარკინიგზო ადმინისტრაციის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის და ქუთაისის კოლეჯ "იმერში" სწავლის გაგრძელების მსურველები არიან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საშემოდგომო მიღებაზე სიახლეა: მსურველებს იწვევს ფოთის კოლეჯი, აქაც სწავლება უფასო იქნება, მხოლოდ შიგატურია ფასიანი. ასევე სიახლეა ის, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის დაბა აგარის საჯარო სკოლა 2 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ზეინკლისა და დაბალი ძაბვის მექანიკოსის სპეციალობის მისაღებად აცხადებს მიღებას. იგი 9 კლასის განათლების ბაზაზე ფუნქციონირებს და პროგრამის პარალელურად საჯარო სკოლის დასრულების ატესტატსაც იძლევა.

***ნინო ნანიტაშვილი***

“თითოეული ქართველი ერთხელ თუ აქ ჩამოვა, უფრო ევროპელი იქნება”

# ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი 70 წლისაა

ქეთევან ჭელიძე

*მუზათა ტაძარი _ ასე ითარგმნება ბერძნულიდან მუზეუმი. იმ სახლში კი არაერთ მუზას დაუდო ბინა, არაერთი მუზა ასხივოსნებდა დიდი ნიკო ნიკოლაძის გონებას მამულის მსახურებად. იმ კედლებში ისევ ხმიანობს თაობებისათვის ერისკაცის ანდერძად თქმული: “მას აქეთ, რაც ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად _ როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა. მე შენ მიყვარდი, რომლის ბედი და უბედობა ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა... მე დამივლია მთელი ევროპა და ბევრს ჩინებულ ქვეყანაში, ბევრს აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონდა: შენთვის დამზადება, შენი სამსახური, შენი სარგებლობა... იმის მაგიერ, რომ იქაურ ცხოვრებას მივებირე და სხვებისავით დამევიწყა ჩემი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩემი ყველასთვის უცნობი ხალხი, მე ნიადაგ მუდამ შენზე ვფიქრობდი, რომ სადაც კი ყოფილიყო, შენთვის რაიმე სარგებლობა მაინც მომეტანა... ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი”...*

*“პირველი ქართველი ევროპელის” მამულში ხალხმრავლობაა. ნიკო ნიკოლაძის მემორიალურ სახლ-მუზეუმს 70 წელი შეუსრულდა. დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის შთამომავლებთან ერთად იმ დღეს იმ სახლის კიბეები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა სტუმრებმაც აღიარეს.*

სხვებთან ერთად აქ იმყოფებოდნენ იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გია მიქელაძე, პარლამენტარი და დიდი ნიკოს შთამომავალი სალომე ზურაბიშვილი, ნიკოლაძის შვილთაშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარინე მუსხელიშვილი, მისი დის, ოლგას ქალიშვილი ნინო წიკლაური შვილთან ერთად. ნიკო ნიკოლაძის მკვლევარებიც ეწვივნენ სახლ-მუზეუმს: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ ნამიჭეიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სრული პროფესორი დალი ჩიკვილაძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი და ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლიტერატურათმცოდნე მურად მთვარელიძე, ცნობილი ჟურნალისტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი პაატა ნაცვლიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ევროპული მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ოთარ ჯანელიძე. იუბილარ სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ აგრეთვე საჩხერის აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის დირექტორი ცეზარ ლაშხი და ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის დირექტორი ელენე გაბლიანი თავიანთ თანამშრომლებთან ერთად, ქუთაისის სპორტის მუზეუმის წარმომადგენლები, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელი რევაზ ნოზაძე, ჭყვიშის გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმის დირექტორი ელენე მამფორია და მისი თანამშრომლები ერთად. ასევე, წალკოტად ქცეულ ეზოში კი ღია ცის ქვეშ გამართულ სცენაზე სტუმრებს გულთბილად მიესალმა ნიკო ნიკოლაძის მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორი ლია ბიბილეიშვილი და მათ სახლ-მუზეუმის დაარსების ისტორია შეახსენა: 1947 წლის 29 ივნისს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ნიკო ნიკოლაძის ყოფილ მამულში დაარსდა ნიკო ნიკოლაძის მემორიალური სახლ-მუზეუმი. ეს უნიკალური დენდროპარკი კი ჯერ კიდევ 1922 წლიდან “აღიარეს სახელმწიფო მამულად როგორც “მაღალი კულტურის” ადგილი” _ ასე ატყობინებდა გიორგი მამას 1922 წლის შემოდგომაზე. ამას მოჰყვა 1923 წელს ნიკოს განცხადება იმის თაობაზე, რომ მის სახლში, აქ, დიდ ჯიხაიშში გაეხსნათ დაბალი ტიპის ორწლიანი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი სოფლის ტიპის ახალგაზრდებისთვის. “ნიკოს მამული”, როგორც მას სოფელში ეძახდნენ და ლამის დღემდე შემორჩა აქაურობას ეს სახელი, ნიკოს მიერ ევროპული სტილის ექსპერიმენტულ მეურნეობად დაარსებულ-მოწყობილი, უკვე გავერანებულია აქ ჩამოყენებული რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილის მიერ, ადგილობრივი მთავრობისგან სამგზის “ექსპროპრიაქმნილი”, ანუ განკულაკებულია და მთავრობისაგან წაქეზებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხელარდაკლებულ-იავარქმნილი. 1925 წელს ნიკოლაძის ამ განცხადების საფუძველზე ნიკოლაძეების საცხოვრებელ სახლში მართლაც გაიხსნა ეს სასწავლებელი, რომელიც 1930 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად გადაკეთდა.

1933 წლიდან ტექნიკუმის დირექტორად დაინიშნა ბატონი პოლიკო მიქაძე, რომელიც წარმოშობით სამიქაოდან იყო. იგი ნიკოლაძეების ყოფილ სახლში დაასახლეს ოჯახით. მასთანვე ამავე სახლში ცხოვრობდნენ სხვა რაიონებიდან ჩამოსული მასწავლებლები, განთავსებული იყო მეურნეობის ტექპერსონალის ოფისები, დენდრო-პარკი გადაქცეული იყო სასწავლო მეურნეობის სამეურნეო ეზოდ, ხოლო ნიკოსეული, წლების მანძილზე რუდუნებით შექმნილი ევროპული სტილის მთელი ექსპერიმენტული მეურნეობა _ ტექნიკუმის სასწავლო საყრდენ-საჩვენებელ საბაზო მეურნეობად.



მუზეუმი გაიხსნა მოგვიანებით _ 1951 წლის 1 ივლისს. მისი პირველი დირექტორი გახლდათ ტექნიკუმის ისტორიის მასწავლებელი ქალბატონი თინა კოხრეიძე. მას ცდა და მონდომება არ დაუკლია მუზეუმის ნორმალური ფუნქციონირებისათვის, თუმცა _ უშედეგოდ!



მუზეუმის გახსნის დროს აქ ერთადერთი მემორიალური ნივთი იყო _ ნიკოს მიერ პარიზიდან ჩამოტანილი თუჯის ღუმელი. რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო იარაღის დაკარგვა მაშინვე დაფიქსირდა, გაძნელდა აქ, მარანში ამჟამად გამოფენილი მემორიალური ნივთების მუზეუმისთვის დაბრუნება და შემდგომში მათი რესტავრაცია. არაერთი მემორიალური ნივთი წლების განმავლობაში მუზეუმს გადმოსცეს ნიკოს ქალიშვილმა რუსუდან ნიკოლაძემ და მისმა ვაჟმა ნიკოლოზ პოლიევქტოვ-ნიკოლაძემ, ნიკოს მოურავის სიმონ ვაშაკიძის ოჯახმა, დიდ ჯიხაიშელმა მასწავლებელმა თინა ლეჟავამ, ნიკოს შვილთაშვილებმა _ ოლგა და მარინე მუსხელიშვილებმა და სხვებმა”.

ქალბატონმა ლიამ იმ სიძნელეებზეც ისაუბრა, რაც სამუზეუმო საქმიანობას მუდმივად თან ახლდა და გარკვეულ ძალისხმევას მოითხოვდა, “რომ გადაერჩინათ და მოეწესრიგებინათ ეზო, შენობები, რამდენჯერმე ჩაეტარებინათ შენობების კაპიტალური, თითქმის ყოველწლიურად კი _ კოსმეტიკური შეკეთება, მოეძიათ და შეეგროვებინათ მემორიალური ნივთები, შეექმნათ და შეეძინათ საგამოფენო რეკვიზიტები, მოეწყოთ სტაციონარული და მოძრავი გამოფენები, ჩაეტარებინათ რეექსპოზიცია. აქვე, მთავარ საგამოფენო შენობაში შეექმნათ კიდევ ერთი _ ნიკოს სახელოვანი ვაჟის, გიორგი ნიკოლაძის მუზეუმი, საფუძველი ჩაეყარათ შემდეგში ტრადიციად ქცეულ “ნიკო ნიკოლაძის დღის” _ “ნიკოობისათვის”, ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტისათვის, სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციებისათვის, სასახელო დიდ ჯიხაიშელთა მუდმივი გამოფენისათვის “კვალი ნათელი”, განემტკიცებინათ ურთიერთობა ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების სახელთან დაკავშირებულ სახელმწიფო ინსტიტუტებთან თუ უმაღლეს სასწავლებლებთან, გაეფართოვებინათ მუზეუმის დენდრო-პარკის ტერიტორია. შეძლეს განემტკიცებინათ მუზეუმის საფინანსო მეურნეობა. გაეზარდათ მუზეუმის თანამშრომელთა რაოდენობა. ყოველივე ამასთან ერთად ქვეყნის, რაიონის, სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობაშიც აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი.

თავისი მისიის აღსრულებაში მუზეუმს გვერდით ედგა სოფლის ინტელიგენცია, რაიონის ხელმძღვანელობა, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტები”.

ქალბატონმა ლიამ ხაზი გაუსვა, მუზეუმისთვის დღემდე მოუგვარებელ საკითხებსაც. ისურვა, რომ ნიკო და გიორგი ნიკოლაძეების ცხოვრება და მოღვაწეობა სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში შევიდეს, ხოლო სახლ-მუზეუმი _ საერთაშორისო ან, თუნდაც, საქართველოს მასშტაბის ტურისტულ მარშრუტში.

მან თავის სიტყვაში გაიხსენა და მადლიერება გამოხატა კულაშელი ქართველი ებრაელის, ეფრაიმ გურიისადმი მუზეუმისთვის გაწეული ფინანსური დახმარების გამო. მადლობა არ დაიშურა გია მიქელაძის მიმართ მუდმივი მხარდაჭერისათვის. აღნიშნა ფოთის პორტის ყოფილი ხელმძღვანელის, ჯემალ ინაიშვილის მუზეუმისათვის არაერთგზის გაწეულ დახმარებაზეც. არ დაივიწყა ბიზნესმენ გოგი თოფაძის მიერ მუზეუმისთვის სოლიდური თანხის გაღება, ბიზნესმენ გელა ლეჟავას დახმარება, ასევე, ირაკლი ანდრიაძის, გურამ ქაშაკაშვილისა და სხვათა თანადგომა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ფონდი “ქართუ”, _ დასძინა მან. _ სწორედ ამ ფონდის და ბიძინა ივანიშვილის დახმარებით ჩატარდა მუზეუმში უდიდესი სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ახლახან დასრულდა. დამსახურება არ დაუვიწყა მუზეუმის დირექტორმა თავის ყოფილ მოსწავლესა და ყოფილ პარლამენტარს, მერაბ კაჭახიძესაც, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა დროულად ჩატარებულიყო სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოები მუზეუმში. საქმე შეუქო და მადლობა გადაუხადა რესტავრატორების გუნდს იური ჭოლოგავას ხელმძღვანელობით და ფონდ “ქართუს” ხელმძღვანელს ზურაბ ხვედელიძეს.

7 ოქტომბრის “ნიკოობაზე” არაერთხელ გაიჟღერა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის სულისჩამდგმელების, თინა ჭილაძისა და ვალერიანე ბიბილეიშვილის სახელებმა. რომ არა ისინი, ალბათ, ეს სახლ-მუზეუმიც არ იარსებებდაო, თქვეს. თუ რა რთულ, წინააღმდეგობებით სავსე პირობებში უხდებოდათ თითოეული მემორიალური ნივთის მუზეუმისთვის დაბრუნება, როგორ ილვწოდნენ ნიკო ნიკოლაძის სახელის პოპულარიზებისთვის, ამის დასტურად ქალბატონ თინას დღიურში გაკეთებული ჩანაწერებიც გამოდგება. მათი წაკითხვის შემდეგ ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რატომ ესათუთებოდნენ ეს ადამიანები მთელი თავიანთი ცხოვრება ამ სახლ-მუზეუმს და რატომ ეძვირფასება მშობლების დატოვებული საქმე ქალბატონ ლიას.

დიდ ჯიხაიშელი გიგანტი ბიბილეიშვილი “სამტრედიის მაცნესთან” პირველ “ნიკოობაზე” საუბრობს: “საქართველოს მაშინდელი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდების პასუხად მთელ საქართველოში მიმდინარეობდა ბრძოლა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებებისადმი. ამასთან დაკავშირებით 1976 წლის 3 მარტს ჩავატარეთ სოფლის ყრილობა. მაშინ მე სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გახლდით. სწორედ იმ დროს გადაწყდა, დაგვეწესებინა სახალხო დღესასწაული “ნიკოობა”. მსიამოვნებს, ეს ჩემი თავმჯდომარეობის დროს რომ მოხდა. საკითხი სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე დავამტკიცეთ. რა თქმა უნდა, ამ საქმეში განსაკუთრებული იყო რაიონის ხელმძღვანელობის როლი. პირველი “ნიკოობა” 1976 წლის 29 სექტემბერს ჩავატარეთ. სოფლის კეთილმოწყობის მიზნით მთელი დიდი ჯიხაიში ფეხზე დადგა. ნიკოლაძის ეზოში ტრანსფარანტები დაიდგა, რომლებზეც პოეტ ალექსანდრე შანიძის ლექსის სტრიქონები იკითხებოდა. “ნიკოობის” დღესასწაულზე ორმა წყვილმაც მოაწერა ხელი სახლ-მუზეუმში საქორწინო მოწმობას”.

“პარლამენტის წევრობა არაფერ შუაშია, მე დღეს აქ ვარ, როგორც ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი. _ აღნიშნა სცენაზე წარდგენის შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა. _ ყოველთვის დიდი ბედნიერებაა აქ ყოფნა. ზოგჯერ კიდევ უფრო მეტი ბედნიერებაა, აქ ჩუმად შემოსვლა და ამ ბაღით ტკბობა. ეს არის არაჩვეულებრივი ადგილი, სადაც, მე მგონი, ტრიალებს ნიკოს, გიორგის და მისი ოჯახის სული. ამას ვგრძნობთ ყველა. ძალიან ბედნიერი ვარ დღეს, როცა 70 წლისთავზე ეს მუზეუმი ასე კარგად გამოიყურება. გასაკეთებელი ბევრია და იმედი მაქვს, რომ გაკეთდება, უფრო თანამედროვე, ევროპულ სახეს მიიღებს, რადგან ასეთია დღევანდელი მოთხოვნა. ქართველები, უცხოელი ტურისტები, ახალგაზრდები უნდა მოვიდნენ აქ და გაიგონ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ნიკო ნიკოლაძეს ამ ქვეყნის ცხოვრებაში. ეს მუზეუმი არ იქნებოდა, თუ არა ქალბატონი ლიას ოჯახი. ეს არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს. ამისთვის მადლობა მათ ყველა ჩვენგანის სახელით.



ნიკო ნიკოლაძე თანდათან გამოდის ჩრდილიდან. წინა ხელისუფლების პირობებში ნიკოლაძე გვერდზე იყო გაწეული, კონკურენცია არ უყვარდათ, პირველი ევროპელი რომ სხვა იყო, ესეც არ მოსწონდათ. ნიკო ნიკოლაძის პირველი ევროპელობა ჩანდა მის ხასიათში, საქმიანობაში, ქმედებებში, სახელმწიფოს მსახურებაში და არა პოლიტიკაში. სიტყვა პოლიტიკა მაშინ ნაკლებად გვხვდებოდა, რადგან ეს იყო სხვა გაგება ქვეყნის და

სახელმწიფოსი. ყველგან ჩანდა დამოკიდებულება ჭეშმარიტად ქართული და ამავე დროს ევროპული.

როცა ქუთაისში პარლამენტის წინ იმ ქართველების სურათები გააკრეს, ვინც ევროპისკენ მიისწრაფოდა, ნიკოს სურათი არ აღმოჩნდა, ვიდრე ვიღაც-ვიღაცეები არ შევაწუხე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის გაგებული ნიკოლაძის რეალური მნიშვნელობა. მომავალ წელს ასი წელი სრულდება საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან. ბევრი ღონისძიება იქნება გამართული და მთავარია, არ დაავიწყდეთ ის ადამიანი, რომელიც იმ ეროვნული მოძრაობის სათავეში იდგა''.

დასასრულ, ქალბატონმა სალომემ ლია ბიბილეიშვილს სახლ-მუზეუმისთვის საჩუქრად ნიკო ნიკოლაძის ნიღაბი გადასცა, რომელიც გარდაცვლილის სახიდან აიღეს.

მაჟორიტარ დეპუტატს გია მიქელაძეს სათქმელი არ ელევა ''უდიდეს მამულიშვილზე, ენციკლოპედიური განათლების მქონე, ნამდვილ ევროპოლოგ ნიკო ნიკოლაძეზე''. ბადალი არასოდეს ჰყოლია და არც დღეს მოიძებნება მისი დონის პიროვნებაო, განაცხადა. ისიც გაიხსენა, როგორი დასამახსოვრებელი აღმოჩნდა მისთვის ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი, როცა ჯერ კიდევ 7-8 წლისა ექსკურსიაზე მოიყვანეს აქ.

თინა ჭილაძე და ვალერიანე ბიბილეიშვილი ბატონმა გიამაც გაიხსენა, ლია ბიბილეიშვილს კი ძალისხმევა შეუქო. აღნიშნა, თუ როგორი ''აქტუალურია დღესაც დიდი ნიკოს ხედვები. საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი ნიკომ შექმნა: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ტყიბულის ქვანახშირი, ჭიათურის მარგანეცი, პორტები და კიდევ ბევრი რამ, რაც ნიკოს სახელს უკავშირდება, წინა ხელისუფლებამ მამასისხლად გაყიდა. რაც გადარჩა, ეს არის რკინიგზა, საქართველოს არტერია. აქ მოვიწვიე ის ადამიანები, ვინც ნიკო ნიკოლაძის შექმნილი სიკეთით სარგებლობს, მაგრამ არ მოვიდნენ, არ მოვასვენებ მათ, კეთილი ინებონ, მუზეუმს დაეხმარონ. ფონდმა ''ქართუ'' და მისმა დამფუძნებელმა დააფინანსა ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში ჩატარებული სამუშაოები, რისთვისაც დიდძალი თანხა გაიღო''.

ბატონმა გიამ მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს, რომელმაც სურვილის მიუხედავად ღონისძიებებში მონაწილეობა ვერ მიიღო. სტუმრად მყოფ პარლამენტარებს, აკაკი ზოიძეს, ლევან კობერიძეს, გუბერნატორს გივი ჭიჭინაძეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და სახლ-მუზეუმის მთელ კოლექტივს. მისი აზრით, ეს ადგილი უნდა გადაიქცეს ახალგაზრდობის აღზრდის კერად.

ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, როგორი დიდი პიროვნება იყო ნიკოლაძე, როგორი პატრიოტი, ევროპა მოიარა, მაგრამ საცხოვრებლად მაინც სამშობლოში დაბრუნდა. მათაც უნდა მიიღონ ევროპული განათლება, მაგრამ ყოველთვის უნდა მოეჩქარებოდეთ საქართველოში''.

ნიკო ნიკოლაძეზე, როგორც უნიკალურ მოვლენაზე, ბატონმა გივი ჭიჭინაძემაც ისაუბრა, ხაზი გაუსვა, რომ მომავალ წელს ნიკო ნიკოლაძის საიუბილეო თარიღი მასშტაბურად აღინიშნება, სახლ-მუზეუმს კი ყოველმხრივ გვერდით დგომა აღუთქვა.

''ძალიან სასიამოვნოა სამტრედიის მუნიციპალიტეტში, დიდი ნიკოს მამულში ასეთი საპატიო სტუმრების მიღება'', _ განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ბახტაძემ. მან მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისთვის და ქვეყნის განვითარების, ევროპაში ინტეგრაციის, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში ნიკოს მოსაზრებების აქტუალობაზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ ''ბევრი რამ შეგვიძლია მისგან ვისწავლოთ _ სამაგალითოა საქმისადმი ნიკო ნიკოლაძის ერთგულება, შრომისმოყვარეობა, ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მრავალი, იმდროინდელი გაბედული გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაში''.

შეკრებილთ მიესალმა ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის დირექტორის მოადგილე ნათია ჟღენტი.

პროფესორ დალი ჩიკვილაძეს კი დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმთან. ჩვენთან საუბარიც მისი ყოფილი ხელმძღვანელების მოგონებით დაიწყო: ''ცოტა რამ მინდა ვთქვა იმ არაჩვეულებრივ ადამიანებზე, ქალბატონ თინასა და ბატონ ვალიკოზე, რომელთაც ეს მუზეუმი შეინარჩუნეს და ასეთად აქციეს. რაც მთავარია, უდიდესი წვლილი შეიტანეს, ნიკოს სახელი ასე გაბრწყინებულიყო. დღეს მე აქ ჩამოვიტანე პირველი ''ნიკოობის'' მოსაწვევი. 1979 წელს დავბეჭდე შრომები ნიკო ნიკოლაძეზე და მას შემდეგ მაქვს მეგობრული ურთიერთობა ამ მუზეუმთან. მაოცებს ლიას ენერგია, წინასწარგანჭვრეტილობა, რა დროს რა სჭირდება მუზეუმს, არ ერიდება ხუთჯერ, ათჯერ შეაწუხოს ერთი და იგივე ადამიანი მუზეუმის საკეთილდღეოდ.



მე ნიკო ნიკოლაძეს დროს გასწრებული მამულიშვილი ვუწოდე, იყო არის და იქნება. მე-19 საუკუნიდან ოთხ ფორმაციას მოესწრო ეს ადამიანი და თითოეულ ფორმაციაში თავისი სიტყვა თქვა. საერთოდ, ეს იშვიათობაა. ბატონყმობის დროს დაბადებული გახლდათ და საბჭოთა პერიოდში გარდაიცვალა. მან ბევრი მოგონება დატოვა. მე გამოვეცი ორი წლის წინ ნიკო ნიკოლაძის პირადი წერილები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, რომელსაც ''დიდი ცხოვრების აღმართი'' დავარქვი. ეს არის ნინოსთან, უფროს ქალიშვილთან მიწერილი წერილები, როცა ისინი ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, ხოლო ნიკო ნოე ჟორდანიას მიერ ლონდონში არის გაგზავნილი. ეს არის არაჩვეულებრივი წერილები. ნინო და მისი მეუღლე, სალომეს დიდი ბაბუა, ცხოვრობდნენ სტამბულში. ლონდონიდან სტამბულამდე კი ადვილად მიდიოდა წერილები. რომელიც ვთარგმნე და დავბეჭდე წიგნად, მივუძღვენი ნიკოს 170 წლისთავს. ყოველდღიურ ამბებზეა საუბარი წერილებში, რას ფიქრობს, რას აკეთებს, მერე რა, რომ საქართველოს გასაბჭოება მოხდა, ის მაინც მისი ქვეყანაა და აქ უსათუოდ ჩამოვა. ფიქრობს, რომ ინჟინრები სჭირდება ჩვენს ქვეყანას, თავის უფროს შვილიშვილს არჩილს, რომელიც გაგზავნილია ჟორდანიას მთავრობის მიერ ასპირანტად და ჰიდროინჟინრის სპეციალობას ეუფლება, უგზავნის სტიპენდიას, რადგან გასაბჭოების შემდეგ შეუწყვიტეს დაფინანსება. წერილები რუსულად არის დაწერილი. ერთადერთი არის არჩილი, რომელსაც ქართულად სწერს, იმიტომ რომ მას ქართული არ დაავიწყდეს. შენი სპეციალობა შენს ქვეყანას სჭირდებაო, თუმცა, არჩილი უკან აღარ ჩამოსულა. ნიკოს შესახებ რაიმეს თქმა ძნელია, რადგან ის ძალიან დიდია _ 21-ე საუკუნის მოაზროვნე.



ახლა ბევრს ფიქრობენ ადგილობრივი მმართველობის მოწყობაზე. ''ერობა და მისი დანიშნულება'' ნიკომ 70-იან წლებში დაწერა, წაიკითხონ, რა არის ერობა, რა მნიშვნელობა აქვს, როგორი უნდა იყოს ერობის წევრი, პარლამენტარებს ეცოდინებათ, რა უნდა აკეთონ. ნიკოს 9 ტომეულია გამოცემული, ჩაიხედონ მასში და ბევრ საჭიროს ამოიკითხავენ''.

''დიდ მადლობას ვეტყვი დიდ ჯიხაიშელებს ასე კარგად მოვლილი რომ არის აქაურობა და მათ მეხსიერებაში კვლავ ცოცხლობს ნიკო ნიკოლაძის ხსოვნა. ბედნიერი ვარ, რომ ეს ყველაფერი აქ ხდება, ვნახე ახალი დარბაზი, კეთდება ბიბლიოთეკა და კაფე, აქ უნდა ჩქეფდეს სოციალური ცხოვრება, ბევრ სოფელს არ აქვს ასეთი ადგილი. პირველ რიგში, ეს თქვენთვის უნდა იყოს''. _ თბილი სიტყვები არ დაიშურა ქალბატონმა მარინე მუსხელიშვილმა.

ბატონი პაატა ნაცვლიშვილი არც ამჯერად ეწვია მუზეუმს ხელცარიელი. საჩუქრად უცნობი, ნიკო ნიკოლაძესთან დაკავშირებული ფოტოსურათების ასლები გადასცა ლია ბიბილეიშვილს. ჩვენ კი იმდღევანდელი განწყობა გაგვიზიარა: ''ძალიან მაგარი დღეა, როცა აქ ვარ, სხვაგვარი ემოციით ვარ დამუხტული, ყოველთვის რაღაც ახალს ვიგებ. მიუხედავად იმისა, მუზეუმსაც კარგად ვიცნობ, ნიკოც კარგად ვიცი, გიორგიც და საერთოდ, მთელი ოჯახი, რაღაც ახალ ნიუანსს ყოველთვის ვპოულობ. ეს ეზო და მიდამო ხომ საოცრებაა. თითოეული ქართველი ერთხელ თუ ჩამოვა აქ, უფრო უკეთესი გახდება''.

''მოგილოცავთ! მშვენიერი დღეა არამართლო დიდი ჯიხაიშისთვის და სამტრედიისთვის, არამედ საქართველოსთვის. ვამაყობ ნიკო ნიკოლაძით და მართლაც საამაყოა, მაგრამ გაცილებით უფრო უკეთესი იქნებოდა, მის ნააზრევსა და მემკვიდრეობას ვითვალისწინებდეთ. მუზეუმი აკეთებს ბევრ სასიკეთო საქმეს. კაცს რომ აქეთ მოუხარია, ეს მისი დირექტორის, ლიას დამსახურებაა. მადლობა ყველა იმ გულისხმიერ ადამიანს, ვინც შეეწია და განაახლა მუზეუმი მის 70 წლის იუბილეზე. გაისად ნიკო ნიკოლაძეს საიუბილეო თარიღი _ 175 წელი უსრულდება, შესაძლოა, კიდევ მეტად უკეთესი გახდეს იგი. ნიკოლაძე ნოვატორი კაცი იყო და რაც მეტი სიახლე დაინერგება სამუზეუმო ტექნიკის, ტექნოლოგიების თვალსაზრისით, სასურველი იქნება''. _ აზრს გვიზიარებს ბატონი ოთარ ჯანელიძე. სახლ-მუზეუმს მანაც გადასცა საჩუქრად თავისი წიგნი ''ქართული ემიგრაცია''.

''დღესაც კი ნიკო ნიკოლაძე და მისი ღვაწლი, სამწუხაროდ, ჩრდილშია, მაგრამ იმედს ვიტოვებ, რომ ეს ყველაფერი უახლოეს მომავალში შეიცვლება. მით უფრო, ჩვენი ქვეყნის ორიენტაცია ევროპისკენ არის მიმართული. მეტიც, ევროპის ნაწილად აღგვიქვა თავად ევროპამ. მეამაყება, რომ შეიცნეს ჩვენი ქვეყანა, როგორც ევროპული ქვეყანა. მინდა, ყველა ქართველსაც და ევროპელებსაც შევახსენო, რომ ამ ქვეყანაში მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა ნიკო ნიკოლაძე, რომელიც მართლაც ითვლება პირველ ევროპელად არა ჩაცმულობით, არამედ აზროვნებით. ევროპელად არა თავისი ნაწერებით, არამედ თავისი ცხოვრების წესით. ისეთ იდეებს უკეთებდა კულტივაციას, ჯერ კიდევ 100 წლის წინ, რომელიც დღესაც აქტუალურია. აღარაფერს ვიტყვი მის დამსახურებაზე საქართველოს ეკონომიკის ფეხზე დაყენების საქმეში, საქართველოს ქცევას ეკონომიკურ ჰაბად ამიერკავკასიაში და მცირე აზიაშიც. ყველა მისი ეკონომიკური პროექტი თუ იდეა იყო ევროპასთან დაახლოების მიზანი. აქედან გამომდინარე, თუ დღეს ჩვენ ვდგავართ ევროპისკენ სავალ გზაზე, ხვალ და ზეგ დიდი ნიკო კიდევ უფრო უნდა დაფასდეს''. _ ასეთია მერაბ კაჭახიძის, ყოფილი პარლამენტარის სურვილი.

ვახტანგ ახობაძე _ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის მწერალთა და ხელოვანთა ფონდის პრეზიდენტი, ჟურნალ ''განთიადის'' რედაქტორის მოადგილე:

''ნიკო ნიკოლაძემ პირველმა იმუშავა იმ საკითხებზე, რაც 1832 წლის აჯანყების შემდეგ აინტერესებდა ქართველ ერს და საიდანაც დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა დაიწყო. ცდილობდა, საქართველო დამოუკიდებელი ყოფილიყო. იწყებს მშენებლობას და პირველი რკინიგზა მან გაიყვანა, ყველა სადგური მისი დაპროექტებულია. პირველი ელექტროსადგური ფოთში მან გააკეთა. მეტსაც გეტყვით, როცა უნივერსიტეტს ხსნიდნენ, ნიკოლაძის წინადადებით მას საინჟინრო ფაკულტეტი დაამატეს. შემდეგ გამოეყო უნივერსიტეტს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ნი-



კოლაძე იყო დიდი ეროვნული კაცი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე. ჩემი აზრით, მისი ნაწარმოებები უნდა წაიკითხოს ყველამ, რომ დღევანდელი რეალობა უკეთესად შეაფასოს. მან რამდენიმე ენა იცოდა, უკვე განათლებული ჩავიდა ევროპაში. ის შეახვედრეს მარქსს, მაშინ იგი 22 წლის იყო. მან უთხრა ნიკოლაძეს, რომ მათგან იგი მესამე ინტერნაციონალის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო კავკასიაში. შენ ქურდი ხარ და ქურდის წარმომადგენელი ვერ ვიქნებიო, უთქვამს, რატომ ვარ ქურდიო, იმიტომ, რომ ბიბლია გაქვს მოპარულიო. სხვათა შორის, სტალინმაც გამოიყენა კონსტიტუციაში ბიბლიური საკითხები. სახარებაში წერია, თუ ღმერთის დავალებებს შეასრულებ, სამოთხეში მოხვდები, სტალინმაც, თუ პარტიის დავალებებს შეასრულებ, კომუნიზმში შეხვალო, იდეურად გადაიტანა. ის ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ნიკო ნიკოლაძე ეწეოდა, დღეს უნდა გავაგრძელოთ, რაზე ჰქონდა ხარისხი დაცული? _ ''განიარაღება და მისი სოციალ-ეკონომიკური საფუძვლები''. თუ სკოლაში არ ისწავლება ნიკო ნიკოლაძე, თავისუფალი ლექციები მაინც უნდა იქნეს წაკითხული ნიკო და გიორგი ნიკოლაძეებზე, რუსუდანზე, მუსხელიშვილზე. ახალმა თაობამ ამ დიდი ადამიანების შესახებ უნდა იცოდეს, მაგალითად უნდა გამოვიყენოთ ისინი.

როცა ქართული ენა აკრძალული იყო და 1811 წელს გაუქმდა საქართველოს ავტოკეფალია, დიდი წვლილი აქვს ნიკოლაძეს იმაში, რომ 1917 წელს საქართველოს ავტოკეფალია აღდგა, რატომღაც ამას არ ახსენებენ. ეს უნდა იცოდნენ პოლიტიკოსებმა, რიგითმა ადამიანებმა. თუ პოლიტიკაში ხარ, ლიტერატურა და ისტორია აუცილებლად უნდა იცოდე. ზოგიერთმა პარლამენტარმა ისიც არ იცის, რა კანონს ღებულობს''.

მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს დიდ ჯიხაიშში ნუგზარ ნუცუბიძესაც ეამაყება ნიკოლაძის თანასოფლელი რომ არის. ამბობს, ''რომ მისი მამების თაობა უფრო აქტიურად იყო ჩართული ''ნიკოობაში'', ვიდრე ახლანდელი. იმედს იტოვებს, რომ ''მომავალში კიდევ უფრო გაათვიცნობიერებენ ახალგაზრდები, თუ როგორი დიდი საზოგადო მოღვაწე და მამულიშვილი იყო ნიკო ნიკოლაძე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ აქაურები სხვაგან არასდროს ამბობენ, სამტრედიელები რომ არიან, დიდი ჯიხაიშელები ვართო. გვინდა, ყველამ იცოდეს, თუ როგორი ადამიანის სოფლიდან ვართ. რაც შეეხება დღევანდელ ღონისძიებას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად აქტიურად ვართ მასში ჩართული''.

''ნიკოობასთან'', დაკავშირებით დიდ ჯიხაიშში, ამბროსი ჯულაყიძის ორგანიზებით, პირველად ჩატარდა დოღი. მასში დიდი ჯიხაიშის, გოჩა ჯიხაიშის, ფარცხანაყანებისა და წყალტუბოს 12 ცხენოსანი მონაწილეობდა. პირველ, მეორე, მესამე ადგილებზე გასულები, სამტრედიელი გიორგი ფოფხაძე, წყალტუბოელი დავით კიკნაძე და ფარცხანაყანებელი დავით ნიქაბაძე პრიზებით დაჯილდოვდნენ, რომელიც მათ ქალბატონებმა სალომე ზურაბიშვილმა, ლიზა კრავეიშვილმა და ნატალია მანჯგალაძემ გადასცეს. თასი გადაეცა აგრეთვე ზურაბ ხვედელიძეს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ნატალია მანჯგალაძის განმარტებით ''ნიკოობის'' დღესასწაული იმერეთის გუბერნიის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ნიკო ნიკოლაძის მემორიალური სახლ-მუზეუმის ერთობლივი ღონისძიებაა, რომელშიც განსაკუთრებით კულტურის სამსახური აქტიურობდა. რეჟისორ თორნიკე მარჯანიშვილისა და მისი მეუღლის, ქალბატონი თამარის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა ''მარჯანიშვილელებმა'', რომლის ხელმძღვანელი ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმის აღსაზრდელებთან ერთად წარმოადგინეს დიდი ნიკოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ლიტერატურული კომპოზიცია. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი, სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი ''ლილე'', ასევე, ინდივიდუალური შემსრულებლები: ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სოლისტი ბექა თევზაძე, მარიამ ტორონჯაძე და სოსო ვეზდენი''.

... დიდი სტუმრიანობის შემდეგ ახალი დღის მოლოდინში გაირინდა გარემო, დღის, რომელიც კიდევ უფრო საცნაურს გახდის დიდი მამულიშვილის სახელს, რომელსაც ნამდვილად შეეძლო ეთქვა: ''ჩემი მხრით მე ეს ახალი სარგებლობა მოვუტანე ჩემს ხალხს, ეს ახალი სინათლე ვაჩვენე, ახალი ძალა შევძინე და ახალი გზა გავუხსენი უკეთესი ცხოვრებისაკენ''.

# ვალიკო კოპალეიშვილის ბიუსტი მისივე სახელობის სკვერში დაიდგა



ნათია ნაცვლიშვილი

***ღირსეული სამტრედიელის, ვალიკო კოპალეიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, კოსტავას 75 ნომერში გაიხსნა მისი სახელობის სკვერი და დაიდგა მისი ბიუსტი. ამ საქმეში აქტიურად იყო ჩართული საზოგადოება "სამტრედიელი" და თამაზ მურღულაია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ ვალიკო კოპალეიშვილის ქალიშვილს, მარინა კოპალეიშვილს თავადვე გადასცა საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილება, სკვერისათვის გარდაცვლილის სახელის მინიჭებისა და აქვე ბიუსტის დადგმის შესახებ. ბიუსტის გახსნის ცერემონიას უამრავი სამტრედიელი და დედაქალაქიდან ჩამოსული სტუმარი დაესწრო, მათ შორის, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე. შეკრებილი ადამიანები ერთხმად გამოხატავდნენ პატივისცემას ვალიკო კოპალეიშვილის მიმართ და აღიარებდნენ მის უდიდეს დამსახურებას სამტრედიის წინაშე. ხის დამმუშავებელი კომბინატის ყოფილი დირექტორი, უამრავი ნოვაციის ავტორიც იყო. მან შეძლო პატარა საამქრო გიგანტურ საწარმოდ ექცია. მის სახელს უკავშირდება ასევე სამტრედიაში ტროლეიბუსის ხაზის გაყვანა, კომბინატის კულტურის სახლის, დასაქმებულთათვის საცხოვრებელი კორპუსებისა და ბაგა-ბაღის მშენებლობა, ცნობილი სამტრედიული დეკორატიული ღობეების მასიურად შემოღება.***

ის იყო ახალგაზრდების ნიჭიერების დამფასებელი და პროფესიულ ზრდაში მათი ხელის შემწყობი. სიმბოლური იყო ისიც, რომ მის ბიუსტთან ყვავილები ოჯახის წევრებთან, შვილთაშვილებთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ერთად, მის მიერ დაარსებული ბაგა-ბაღის პატარა აღსაზრდელებმაც მიიტანეს. ღონისძიება თამაზ მურღულაიამ გახსნა და ბუმბერაზი პიროვნების ღვაწლზე ისაუბრა.

_ უამრავი შენობა-ნაგებობაა სამტრედიაში ბატონი ვალიკოს მოღვაწეობის დროს აშენებული. მან ჩამოაყალიბა ხის დამმუშავებელი კომბინატი, რომელშიც 2500-მდე ადამიანი იყო დასაქმებული. _ განაცხადა საწარმოს ყოფილმა დირექტორმა, ზურაბ კოხრეიძემ, რომელიც დაწესებულებას ვალიკო კოპალეიშვილის გარდაცვალების შემდეგ ხელმძღვანელობდა.

იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე: "უნდა ვიყოთ მადლიერნი იმ პიროვნების, რომელმაც ამდენი რამის გაკეთება შეძლო, ბატონი ვალიკო მთელი ცხოვრება იღვწოდა იმისათვის, რომ დოვლათი შეექმნა, თითოეული ჩვენგანისათვის სამაგალითოა ასეთი ადამიანები. ვისურვებ, მისნაირები ბევრნი იყვნენ ჩვენს ქვეყანაში".

სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გია მიქელაძე: "ბატონი ვალიკო ჩვენი მამების თაობის ასაკისა იყო, არაერთხელ შევხვედრივარ მას, ბავშვობიდანვე მახსოვს, როგორც ბუმბერაზი პიროვნება, ის იყო უდიდესი პროფესიონალი, უდიდესი მეწარმე, უამრავი ადამიანის აღმზრდელი, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, სამტრედიაში თუ რამ გაკეთდა და აშენდა, მისი ინიციატივით. პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი უზარმაზარი, წარმატებული საწარმო იყო ხის დამმუშავებელი კომბინატი. გადმოცემით ვიცი, იყო ძალიან უშუალო, მეგობრული და ბევრისთვის გზის გამკვალავი. ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს ამ ღვაწლმოსილი ადამიანის ხსოვნას პატივს მივაგებთ თითოეული ჩვენგანი, ასეთი პატრიოტი ადამიანები ჩვენი მომავალი თაობისათვის მისაბაძ ადამიანებად უნდა იქცნენ."

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბახტაძე:

"სამტრედიაში ინფრასტრუქტურული განვითარების და მრავალი ღირსშესანიშნავი პროექტის სულისჩამდგმელი იყო ბატონი ვალიკო კოპალეიშვილი, მან ხის დამმუშავებელი კომბინატი დააფუძნა, სადაც უამრავი ადამიანი იყო დასაქმებული. გარდა სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობისა, სადაც მას უმუშავნია ძალზე წარმატებულად, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ხის დამმუშავებელ კომბინატში მისი საქმიანობა. ის ზრუნავდა დასაქმებულებზე, შექმნა საბინაო ფონდი, თითქმის ქალაქის მრავალბინიანი კორპუსების ნახევარი, თავის დროზე, ხის დამმუშავებელი კომბინატის მეშვეობით იქნა აშენებული, დასაქმებულთა, მუშა-მოსამსახურეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა. ჩემი ბავშვობიდან მახსოვს, პირველმა ტროლეიბუსმა რომ გაიარა სამტრედიაში. ვალიკო კოპალეიშვილის ძალისხმევით მოხდა ჩვენს ქალაქში ტროლეიბუსების სამმართველოს ჩამოყალიბება და ქსელის მონტაჟი, რა თქმა უნდა, სამაგალითოა ჩვენთვის და მომავალი თაობისათვის ვალიკო კოპალეიშვილის საქმიანობა, მას ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის რაიონის და კონკრეტულად, ქალაქის განვითარების საკითხში. ჩვენმა თანაქალაქელებმა უნდა იცოდნენ ამ ადამიანის შესახებ, მისი განვლილი ცხოვრების გზა უნდა იყოს მაგალითი ყველასთვის, საჯარო სამსახურში იქნებიან დასაქმებულნი თუ უბრალო მოქალაქენი."

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია: "არიან ადამიანები, რომელთა ღვაწლი გარკვეული წლების მერე ფასდება, ამ ადამიანმა მთელი თავისი ნიჭიერება, გამოცდილება, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ენერგია შეალია თავისი ქალაქისა და რაიონის განვითარებას. ის იყო შესანიშნავი პიროვნება, წლების განმავლობაში წარმატებული საწარმოს მმართვეებდა და სხვადასხვა ინსტიტუტებში სასწავლებლად აგზავნიდა, ზრდიდა. ეს ბიუსტი ოჯახმა წლების წინ გააკეთა, იდგა მის საფლავზე, არეულობის დროს ოჯახის წევრებმა ის მოხსნეს, სახლში შეინახეს და დღეს შესანიშნავ კვარცხლბეკზე დგას. ვალიკოს იმდენი დამსახურება ჰქონდა სამტრედიის წინაშე, უნდა დადგმულიყო მისი ბიუსტი, მადლობელი ვარ ადგილობრივი მთავრობის, იმ ადამიანების, ვინც ამ საქმეს ხელი შეუწყო. კომუნისტები დღეს არავის არ უნდა, მაგრამ ვალიკო იყო ძალიან ღირსეული ადამიანი და მისი ხსოვნის დაფასება აუცილებელია, მომავალმა თაობამ მის შესახებ უნდა იცოდეს."





ას, რომელსაც ჰქონდა ისეთი ღირსებები, რომ წლების მერე ამდენი ადამიანი ასე შეკრიბა."

ჯონი ნადირაძე, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი: "ბატონი ვალიკო კოპალეიშვილი იყო სამტრედიაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საწარმოს დამაარსებელი, შემქმნელი და მისი მეთაური წლების განმავლობაში, ჩვენი და არა მარტო ჩვენი რაიონის მცხოვრებნი იყვნენ მასში დასაქმებულნი, აი ამ ადგილას, სადაც სკვერი გაიხსნა და ბიუსტია, ეს შენობა-ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები მისი ინიციატივით აიგო. სიმბოლურია, რომ იმ ნაძვნარში, მაშინდელი კომბინატის შესასვლელთან ეკლესია აშენდა თამარ მეფის სახელობისა, ღმერთმა ასე ინება. ეს საუკეთესო ინიციატივა, სკვერს მიკუთვნებოდა მისი სახელი და დადგმულიყო გარდაცვლილის ბიუსტი, წამოვიდა საზოგადოება "სამტრედიელიდან", ხის გადამმუშავებელი კომბინატის ყოფილი თანამშრომლებიდან. ესენი შესანიშნავი ადამიანები არიან, მალე გამოვა ჟურნალ "სამტრედიის მატიანის" მომდევნო ნომერი, რომელშიც მოთხრობილი იქნება ხის დამმუშავებელი კომბინატის ისტორია. ასეთ ადამიანებს პატივი უნდა ვცეთ."

ლი. დარწმუნებული ვარ, ასეთი ადამიანების ნაკვალევზე ღირსეული მოქალაქეები გაიზრდებიან".

სულიკო ფურცელაძემ ხის გადამმუშავებელ კომბინატში პროდუქციის რეალიზაციის უფროსად 30 წელი იმუშავა. ჩვენთან საუბარში მან ბრძანა: "ვალიკო დღედაღამ შრომობდა, საუკეთესო ეკონომიური განათლების მქონე, უნარიანი და ღირსეული კაცი იყო, შემოიკრიბა პროფესიონალთა გუნდი და არაფრისგან ვებეერთელა საწარმო შექმნა, აქ იყვნენ მთავარი ინჟინერი გივი გახოკიძე, წარმოების უფროსი დავით ბაღდავაძე. ზურაბ კოხრეიძე, შემდგომში საწარმოს დირექტორი. ეს საამქრო კადრების სამჭედლო იყო, მუშებს აფინანსებდა...

"ძალიან ვღელავ, ვერაფერს ვამბობ, მადლობა ყველას, ვინც ამ საქმეში მიიღო მონაწილეობა, ბევრი გააკეთა თამაზ მურღულაიამ". _ განაცხადა მარინა კოპალეიშვილმა ჩვენთან საუბარში.

სოფიკო შუბლაძე, ვალიკო კოპალეიშვილის შვილიშვილი: "ძალიან ამაყი ვარ, იმიტომ, რომ ლამის ოთხი ათეული წელია გასული მას შემდეგ, რაც ბაბუა აღარ არის ამქვეყნად, ამდენი წლის მერე რაიონს რომ ახსოვს ბაბუა, მიხარია. მადლობა ამ საქმის ორგანიზატორებს და პირველ რიგში მადლობა ბაბუ-

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით გაიხსენა მსახიობმა მზია ჩიხლაძემ ვალიკო კოპალეიშვილი. ის ქალბატონმა მზიამ ხის დამმუშავებელ კომბინატში კომკავშირის მდივნად მუშაობის წლებში გაიცნო და მასზე მხოლოდ ბევრი კარგის თქმა შეუძლია.

# ფოტო ისტორიას ჰყვება



არაერთხელ დაწერილა ქართულ-ებრაულ ურთიერთობებზე, ანალოგი არა აქვს ამ ორ ერს შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის ოცდაექვსსაუკუნოვან ისტორიას.

სამტრედიაში, სადაც ებრაელები XVII საუკუნის ბოლოდან ცხოვრობდნენ,-არა ერთი ცნობილი ებრაელი ექიმი მოღვაწეობდა, მათ შორის იყვნენ რუბენ ბათაშვილი, შოთა ლევიაშვილი, ილია ბოთერაშვილი, დუდუ მიხელაშვილი და სხვები.

სურათზე, რომელიც ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ **რომან ბექაიას** მიერ 1984 წლის ივლისშია გადაღებული, აღბეჭდილნი არიან, ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს რეანიმაციული და ინტენსიური თერაპიის განყოფილების ექიმი **ბორის შალელაშვილი** და ექთანი **მანანა ბოცვაძე.**

ყავლი არასოდეს გაუვა, მივიწყებას არ მიეცემა ებრაელ მედიკოსთა სითბოს და სიყვარულს ქართველებისადმი.

***ლევან გაბიჩავა***

# “კადრების სამჭედლოს” ღირსეული თავკაცი

სამტრედიის ღირსეული პიროვნების, ჩემი უფროსი მეგობრის, ბატონი ვალერიანე (ვალიკო) კოპალეიშვილის სახელობის სკვერისა და ბიუსტის გახსნის, ესოდენ დიდებული საქმის კეთებისთვის. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელობას.

ეს იყო პიროვნება, რომელმაც სამტრედიაში კეთილ საქმეთა კეთებით წარუშლელი კვალი დატოვა. კაცი, საქართველოსა და მშობლიურ რაიონზე უაღრესად შეყვარებული, რომელსაც თანაქალაქელებმა თიკუნად “ვალიკო აღმაშენებელი” შეარქვეს. ბატონი ვალიკოს განვლილი გზა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვაწო ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. გზა, რომლის სრულფასოვნად აღწერა-შეფასებას ერთი, საკმაოდ სქელტანიანი წიგნიც ვერ დაიტევს.

წინა საუკუნის 60-70-იან წლებში სამტრედიის ხის დამმუშავებელი საწარმოს 3900 კაციანი კოლექტივის რომელიმე თანამშრომლისთვის დასაქმების ადგილი, რომ გეკითხათ, პასუხი ცალსახა იქნებოდა: “ვალიკო კოპალეიშვილის კომბინატში”, პასუხი ზუსტი და იმ განუზომელი დამსახურების მანიშნებელი, რაც ბატონმა ვალიკომ მაშინდელი საბჭოეთის მასშტაბით განთქმული კომბინატის შექმნა-ჩამოყალიბებაში ჩადო, ხოლო მის ირგვლივ აგებული მრავალსართულიანი შენობებით, კომბინატის მუშა-მოსამსახურეთათვის მომსახურების სათანადო პირობებით საუკეთესო სიტუაცია შექმნა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სკვერს, სადაც ბატონი ვალიკოს ბიუსტი განთავსდება ზემოდან მრავალსართულიანი კომბინატისთვის კუთვნილი მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლი გადმოჰყურებს.

განუზომელია კომბინატის წვლილი ქვეყნისა და რაიონისათვის მართვის ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებული კადრების აღზრდის საქმეში. ამიტომაც იყო, რომ ამ საწარმოს “კადრების სამჭედლოსაც” უწოდებდნენ.

როგორც პოლიტიკური, საბჭოთა თუ სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი მუშაკები, ბატონი ვალიკოს კომბინატში დაფრთიანდნენ ზურაბ კოხრეიძე, რომელიც ჯერ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ვალიკოს გარდაცვალების შემდეგ კი ამავე კომბინატის დირექტორი გახდა. ლევან ჩხეიძე, სამტრედიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, შემდგომ პარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი, გია ბოჭორიშვილი პარტიის სამტრედიის რაიკომის მრეწველობა-ტრანსპორტის განყოფილების გამგე, თამაზ შუბლაძე _ ბოლოს პროფორგანიზაციის თავმჯდომარე, ამავე კომბინატის დირექტორი. ხე-ტყის ბაზის დირექტორი გოგი ბახტაძე, რაიონის ადგილობრივი მრეწველობის დირექტორი გოდერძი შარაშენიძე, წლების განმავლობაში რაიონის სხვადასხვა წამყვან ორგანიზაციათა ხელმძღვანელი თამაზ მურღულაია, მერაბ კალაძე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და სხვანი.

გამოთქმა “დიდთან დიდი და პატარასთან პატარა” ბატონ ვალიკოს პიროვნებას სრულად მიესადაგებოდა. წარმოების საკითხებში, მინდობილი მოვალეობის შესრულებისადმი უაღრესად მომთხოვნი, მის ფარგლებს გარეთ ყველას ჭირვარამის გამზიარებელი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა თანამშრომელს უყვარდა, მისი ჯეროდა და ეიმედებოდათ. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რამეთუ საწარმოში ყველას ჰქონდა საშუალება თავისი ნიჭისა და უნარის სრულად გამოვლინების.

როცა ბატონი ვალიკოს პიროვნებაზე ვსაუბრობთ, მასთან ერთად გვერდს ვერ ავუვლით ასევე, ხელმძღვანელის ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებულ პიროვნებას, მის უფროს ძმას ბატონ მერაბს, რომელიც იმავე წლებში, მსგავსად ბატონი ვალიკოსა, სათავეში ჩაუდგა წულუკიძის (ხონი) რაიონში 2000 მუშა-მოსამსახურეზე გათვლილ კაპროლაქტამის ქარხნის მშენებლობას და მთელ მაშინდელ საბჭოეთში ერთ-ერთ გამართულ უნიკალურ საწარმოდ აქცია. მისივე ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი სამტრედია-წყალტუბოს სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას, რომლის ნახევარი (ღანირამდე) თითქმის მიყვანილი იყო და რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლების ქვეყნის ავბედითმა დღეებმა ხე-ტყის კომბინატის ბედი არგუნა.

ბატონი ვალიკო, ჩემო უფროსო მეგობარო, თუ სიკვდილს ბედნიერი შეიძლება უწოდო, მართლაც ბედნიერი ხარ, რომ დღეს ძალა არ შეგწევს, შენს დანატოვარ კომბინატს თვალი გადაავლო...

*ბორის ფოცხვერაშვილი*

# სამტრედიელი ბავშვების ნახატები “თბილისობის” დღესასწაულზე

**ნათია ნაცვლიშვილი**





“ასოციაცია საქართველოს კულტურის განვითარებისა და აღორძინების ცენტრის” მიწვევით სამტრედიის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები წლევანდელ “თბილისობის” დღესასწაულს თავიანთი ნახატებით სტუმრობდნენ. სამტრედიელი ბავშვების ნამუშევრები ყველა ჟანრში იყო წარმოდგენილი. 13 მოსწავლის 50-მდე ნამუშევარი მთაწმინდის პარკში, ბავშვთა გასართობ ცენტრ “ბომბორაში” გამოიფინა. სასიხარულო ფაქტია ისიც, რომ მათი ნამუშევრები როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა სტუმრებმა სოლიდურ ფასად შეიძინეს.

“სამტრედიის მაცნემ” კომენტარი სთხოვა სამხატვრო სკოლის დირექტორს, ნინო ნინუას: “მოწვევა მოგვივიდა, ნახატები გადავარჩიეთ, “თბილისობას” პირველად ვსტუმრობდით, ჩვენი ბავშვების ნამუშევრებს ბავშვთა გასართობ ცენტრ “ბომბორაში” მთლიანი კუთხე დაეთმო, მიწვეულნი ვიყავით რამდენიმე მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები, ზუგდიდიდან და ახალქალაქიდან კი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ჯგუფები იყვნენ. ჩვენი მოსწავლეების ნამუშევრები მოიწონეს იქ მყოფმა ახალი თაობის მხატვრებმა, ასევე ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეის წარმომადგენლებმა. სამტრედიელ მოსწავლეებს თან ახლდნენ მხატვარი, სამხატვრო სკოლის წამყვანი სპეციალისტი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, იაკობ ჩხეიკვაძე, გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტი, პედაგოგი მარინა ყენია, პედაგოგი ქრისტინა გიგინეიშვილი და თქვენი მონა-მორჩილი. გამოფენის შემდეგ მიგვიწვიეს სცენაზე და დირექტორს, პედაგოგებსა და გამოფენის თითოეულ მონაწილეს დიპლომები და სიგელები გადასცეს. ბავშვებისათვის უდიდესი სიხარულის მომტანი იყო ის, რომ თავიანთი ნამუშევრები გაყიდეს, ისინი შეიძინეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა ტურისტებმა.”

# “საუკუნეებს ეჯიბრება სვეტიცხოველი”

**ნათია ნაცვლიშვილი**





მეორე საჯარო სკოლა (დირექტორი თეა კარტოზია) მუნიციპალიტეტში პირველია, რომელმაც ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე საინტერესო ღონისძიებაზე მიგვიპატიჟა. ქრისტიანულ დღესასწაულებს _ სვეტიცხოვლობას და არგვეთის ერისთავთა_ დავით და კონსტანტინე მხეიძეების ხსენების დღეს მიეძღვნა მეშვიდეკლასელთა ღონისძიება. ორივე ეს დღესასწაული ოქტომბერში აღინიშნება. ისტორიის პედაგოგმა ნატალია ჯამბურიამ და მისმა მოსწავლეებმა რამდენიმე წუთის განმავლობაში შესძლეს, დამძაბველი ყოველდღიურობიდან სულიერების სამყაროში, ლამაზ რეალობაში გადავეყვანეთ, რათა არა მატერიალურ ღირებულებებზე, არამედ სულიერზე გვეფიქრა და ქრიატიანულ რწმენაში უფრო განვმტკიცებულიყავით. პედაგოგის ხელწერა უცვლელია _ თითოეულ მოსწავლეს კარგად აქვს გააზრებული ნებისმიერი სიტყვა, რომელსაც ზეპირად წარმოთქვამს, არც ერთი მათგანი ფურცელს არ აფრიალებს და ყველას კარგად ესმის შესწავლილი ტექსტების არსი და მნიშვნელობა.

“მცხეთა ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთზიარებაა, სვეტიცხოველი ამ ზიარების ქვით ნაშენი ტანია, მცხეთა სიძველის სურნელი და საქართველოს დამწვარი ქიმერაა, აქ აღმოცენდა სვეტიცხოველი, ის არის ჩვენი დედა-ტაძარი, სწორედ აქედან მოეფინა საქართველოს ქრისტეს სიცოცხლე და ნათელი” _ გვამცნეს ბავშვებმა და არაერთი ლამაზი პოეტური სტრიქონი უძღვნეს სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს. ისაუბრეს კაბადოკიელი ქალწულის, წმინდა ნინოს ღვაწლზე. მოსწავლეებმა სცენაზე გააცოცხლეს მეფე მირიანიც და ნინოც, შთამბეჭდავი იყო მეფე მირიანის მოქცევის სცენა. სვეტიცხოვლის ისტორიაც გაიხსენეს, ერთი მუჭა საქართველოს ტკივილიანი წარსულიც და მისთვის თავდადებული გმირებიც_ დავითი და კონსტანტინე. ისტორიული ლაბირინთებიდან სასტიკი და დაუნდობელი არაბი დამპყრობელი _ მურვან ყრუც გამოიხმეს, რომელმაც დავითი და კონსტანტინე რჯულის შეცვლაზე ვერ დაითანხმა და სასტიკად აწამა.

_“დავით-კონსტანტინეობას ასევე მოწამეთობა, ანუ ორწიფობა ეწოდება. წამებული ძმების ღვაწლის უკვდავსაყოფად, მოგვიანებით ბაგრატ მესამემ ააშენა ეკლესია, სადაც გადაასვენეს გმირები, ხოლო ეკლესიას მოწამეთა ეწოდა”. _ გვითხრეს მოსწავლეებმა. მათ ღონისძიება არაერთი პატრიოტული სიმღერითა და ლექსით დაამშვენეს, ეს ბავშვები სხვადასხვა ქორეოგრაფიულ ანსამბლში არიან გაწევრიანებულნი, მათ ქართული ცეკვების ცეცხლიც დაანთეს. ამ ლამაზი ღონისძიებით კიდევ ერთხელ გვაჩვენეს, თუ როგორ აიგივებდა ქართველი კაცი მამულს რწმენასთან, როგორ სწირავდა თავს რჯულისა და მამულისათვის, ქრისტეს ერთგულებამ როგორ გამოგვატარა საუკუნეთა ქარ-ცეცხლში. ჩვენი წინაპრების მიერ აგებული წმინდა საყდრების ნათლით კი საქართველო აწმყოშიც სულდგმულობს და მომავალშიც იძლიერებს.

პედაგოგისა და მოსწავლეების საინტერესო ნამუშევარი შეაფასა და მადლობა გადაუხადა სკოლას საგანმანათლებლო რესურსცენტრის იურისტმა, ლილი ფხაკაძემ.





# მამის სახელით

თეა ბაბუნაშვილი

***რამდენიმე წელი დასჭირდა, მოთხოვნამდე მისული თხოვნა, რომ მამის ხსოვნა სამტრედიაში საჭადრაკო ტურნირით უკვდავეყო. ვერიკო მაჩიტიძემ საწადელს 2015 წლის ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით მიაღწია. ანზორ მაჩიტიძის მემორიალმა სამტრედიის სინამდვილეში დამსახურებულად დაიმკვიდრა საჭადრაკო ტურნირის ადგილი. ქართული ჭადრაკის განვითარებისთვის კი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ მომავალი წლიდან მის საერთაშორისო სტატუსზე უკვე წელს ალაპარაკდა საჭადრაკო საზოგადოება. სწორედ მისი მნიშვნელობიდან და დატვირთვიდან გამომდინარეც, წელს ანზორ მაჩიტიძის მემორიალს პატივი დასდო და გახსნის დღეს ჭადრაკის ქართველი დედოფალი, ნონა გაფრინდაშვილი ეწვია. თუმცა, ყველა დედოფალი ჭადრაკისა, ჯერჯერობით, მხოლოდ ქართველია. ტურნირის სტუმართა რიცხვს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის, გიორგი გიორგაძის სტუმრობა კიდევ უფრო კომპეტენტურს ხდიდა.***

ასაკობრივი ტურნირი 8 წლამდე გოგონებსა და ვაჟებში გაიმართა. ღია ტურნირში კი ასაკი განუსაზღვრელი გახლდათ. გარდა ამისა, წელს საჭადრაკო დაფასთან ანზორ მაჩიტიძის ყოფილი მოსწავლეებიც დასხდნენ და მათთვის ცალკე ჩატარებულ ტურნირში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

ნონა გაფრინდაშვილთან ბლიცის თამაშის ამბიციას ჭადრაკის დედოფალთან თამაშის სურვილმა სძლია და მასთან ერთად საჭადრაკო დაფა 10-მა სამტრედიელმა გაშალა. მანაც ხელის ჩამორთმევით დაიწყო და ... ზურაბ გოგიასა და სიმონიკა ხაჟალიას ყაიმი შესთავაზა. თუმცა, ისიც აღინიშნა, რომ სიმონიკა ხაჟალიას მოსაგები პოზიცია ჰქონდა. ''ნონას ხომ არ მოვუგებდი, მასთან ყაიმიც დიდი წარმატებაა ჩემთვის'', მართალია, საგაზეთოდ არ უთქვამს ახალგაზრდა მოჭადრაკეს, მაგრამ პრესა რას დამალავს. აი, ინგა სალდაძემ კი, ინგა სალდაძემ ჭადრაკის დედოფალთან გამარჯვება შესძლო. ''მოგებულია, გილოცავთ!'' _ ხელი ჩამოართვა მას ნონა გაფრინდაშვილმა. მერე კი გაიხსენა, რომ ''ამ ქალაქში პირველად ნამდვილად არ ვარ, სამტრედია ერთ-ერთი პირველი რაიონი იყო შეხვედრა რომ მომიწყო, როცა მსოფლიო ჩემპიონი გავხდი. ახლოს არა, მაგრამ ანზორ მაჩიტიძეს ვიცნობდი საჭადრაკო სამყაროდან. ისეთ პატარა რაიონს, როგორიც სამტრედიაა, ვულოცავ ამ ტურნირის დაფუძნებას და მის შემდგომ გაგრძელებას. ვიცი, რომ ბევრი სამტრედიელის დიდი წარმატებები გეამაყებათ და სხვადასხვა სფეროში კიდევ ბევრი ღირსეულის გამოჩენას გისურვებთ!'' რაც შეეხება ამ ინტელექტუალური სპორტის მომავალს, ჭადრაკის დედოფალმა აღნიშნა, ''ჩემს თაობას დაემატა მაიას თაობა. ორი თაობა გაერთიანდა და თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს იმ ფენომენალურ წარმატებებს, რაც მაშინ ჰქონდა ქართულ ჭადრაკს. ამის გადაფარვა ძალიან რთულია. ვფიქრობ, მაშინ ღმერთმა გადმოგვხედა და იმგვარი შედეგის განმეორებას საუკუნეც დასჭირდეს იქნებ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღეს რამენაირად მოვისუსტებთ. ჩვენ გვყავს გუნდი, რომლის წარმატებებიც ნებისმიერ ქვეყანას დამშვენდებოდა. ვერავის დავეთანხმები, რომ საჭადრაკო მიმართულებას ხელშეწყობა არ აქვს. საწუწუნო არაფერია, მაქსიმუმი კეთდება იმისა, რაც შეუძლია სახელმწიფოს. უბრალოდ, ნიჭიერებს მონდომება სჭირდებათ, რომ თავიანთი ნიჭი არ გაანიავონ.'' მას შემდეგ, რაც სამტრედიელებს ტურნირის დაწყება მიულოცა ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გიორგი გიორგაძემ, ანზორ მაჩიტიძის დამსახურებაზე ისაუბრა: ''ბატონი ანზორი ამ სფეროში ამაგდარი ადამიანი იყო. მას დიდი წვლილი აქვს ქართული საჭადრაკო ტრადიციების გაძლიერებისა და ღირსების საქმეში.'' შემდეგ კი ამ სფეროში დღეს არსებულ მდგომარეობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ წარმატებები არც დღეს აკლდება ქართულ ჭადრაკს, უბრალოდ, მისი ტრადიციების ფონზე ეს მიღწევები ცოტაა ქართველი ხალხისთვის. თუმცა, ''გენიოსები საუკუნეებში ერთხელ იბადებიან. წინა საუკუნეში იმდენი გენიოსი ჰყავდა მას, რომ იმ შედეგის დადება, რაც მაშინ გვქონდა, ძნელია. ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ დღეს ჭადრაკით დაინტერესებულებს, მაგრამ ადრეულ ასაკში მშობლებს ბავშვები მის შესასწავლად მოჰყავთ და მათი ინტერესი ამით ამოიწურება. შემდეგ უნდათ, რომ სწავლას მეტი დრო დაუთმონ, ვიდრე სპორტს. ამიტომ, უფრო მაღალ ეტაპზე ბევრი მათგანი წყვეტს მეცადინეობას და ამით არაერთი ნიჭიერი ბავშვი დაჰკარგა ჭადრაკმა. ასეა არა მხოლოდ ჭადრაკში, არამედ, ზოგადად, სპორტის ყველა სახეობაში. ჭადრაკი ვერ ითმენს მისდამი უყურადღებობას და ზერელე დამოკიდებულებას. ეს ხელს უშლის კიდევ უფრო მეტი ნიჭიერის აღმოჩენას, თუმცა, ჭეშმარიტი ნიჭის დაკარგვა არც ისე ადვილია.'' _ ამბობს მიხეილ გიორგაძე.

ის, რომ სამტრედია იმერეთში და საერთოდ საქართველოში წარმატებული საჭადრაკო კადრების სამჭედლო იყო, თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა ჭადრაკის ფედერაციის იმერეთის რეგიონის პრეზიდენტმა ზაზა ლომინაძემ: ''ჩემი ბავშვობა მახსენდება, ზაფხულობით სასტუმროს წინ, პარკში რომ იმართებოდა დიდი და მნიშვნელოვანი საჭადრაკო შეჯიბრი. სამტრედიამ არაერთი ღირსეული მოჭადრაკე აჩუქა ამ ინტელექტუალურ სპორტს. ჭადრაკის ორი დედოფალი ქართველია და ვერავინ ქართველის გარდა, ჯერ ვერ შესძლო ამ ტიტულის მოპოვება. დღეს ძალიან იმედისმომცემია ნანა ძაგნიძე, რომელიც მსოფლიო ნაკრების წევრია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ სწორად დააფინანსა ეს ტურნირი. ჭადრაკი ადამიანის ინტელექტის, გონებრივი შესაძლებლობების ყველაზე დიდი მწვრთნელია და სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება ქვეყანას რაც შეიძლება ბევრი და ბევრი. მიხარია, რომ სამტრედიის სინამდვილეში ისევ იწყებს აღორძინებას აქაური საჭადრაკო ტრადიციები. იმედია, ამ მემორიალის მასშტაბები წლების მანძილზე კიდევ უფრო გაიზრდება.''

''კარგი ფეხი მაქვს, ერთხელ საფეხბურთო ჩემპიონატი გავხსენი და საქართველოს ნაკრებმა თამაში მოიგო!'' _ ამ სიტყვებით უსურვა წარმატებები ნონა გაფრინდაშვილმა ანზორ მაჩიტიძის მემორიალის მონაწილეებს. 150-ზე მეტი მონაწილე გახლდათ მემორიალის სტუმარი. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიც დაინტერესდნენ, წელს დასავლეთი აქტიურობდა, იმერეთი, გურია, სამეგრელო განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი. მემორიალმა რამდენიმე დღე გასტანა. მის გამარჯვებულებს პრიზები და ფასიანი საჩუქრები ფულად ჯილდოებთან ერთად ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებით გადაეცათ. რამდენიმე სამტრედიელი საპრიზო ადგილებს დაეპატრონა. დაჯილდოვებაში მონაწილეობას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები _ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ბახტაძე და კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე იღებდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს კულტურის სამსახურის დიდი წვლილი და მონდომება ამ მემორიალის ჩატარებაში. როგორც ვერიკო მაჩიტიძემ დაარქვა, ''მამას სახელით'' ანზორ მაჩიტიძის მოსწავლეების ტურნირში გამარჯვებულებს პრიზები მან გადასცა.

ანზორ მაჩიტიძის სახელობის მემორიალი, მისი ქალიშვილის, ვერიკო მაჩიტიძის დიდი ძალისხმევით დაფუძნდა და ტრადიციული გახდა. ''იქნებ ჩემგან ცოტა ამბიციურად ჟღერს, მაგრამ ანზორ მაჩიტიძე იმსახურებდა სამტრედიაში მისი სახელობის ტურნირის დაფუძნებას. ამ ხმამაღალი მოთხოვნით ბევრთან მივედი და პირველ რიგში ადგილობრივ ხელისუფლებასთან. არაერთხელ მომიწია მისვლა, ეს იმ არჩევნებამდეც, ხელისუფლება რომ შეცვალა და მის შემდეგაც. უარი არასდროს არავის უთქვამს, მაგრამ ვერც განსაკუთრებულ დაინტერესებასა და მონდომებას ვამჩნევდი ვინმეს. 2015 წლიდან კი ისევ ადგილობრივი ხელისუფლების და კულტურის სამსახურის ძალისხმევით მოხერხდა ამ მემორიალის დაფუძნება. ანზორ მაჩიტიძის მემორიალი ჩემი დიდი სიყვარულია, ჩემი კავშირია მამასთან, მეგობართან, მასწავლებელთან. მამა ყველაფერი იყო ჩემთვის. ეს მემორიალი ჩემი კავშირია მამასთან და ჭადრაკთან, რომელიც სიცოცხლის ნაწილად გავიხადე. ბედნიერი ვარ იმით, რომ მემორიალი ყოველწლიურად ფართოვდება. მინდა, იგი ამ სფეროში პროფესიონალურ შეჯიბრად იქცეს.''_ აღნიშნა მან.

ეს წელს იყო, სამომავლოდ ანზორ მაჩიტიძის ხსოვნის უკვდავსაყოფი მემორიალის კიდევ უფრო მასშტაბურობასა და კომპეტენტურობას მისი წლევანდელი წარმატებაც განაპირობებს. კარგი ფეხი მაქვსო, ჭადრაკის დედოფალმა და მისი სტუმრობით სამტრედიული და მასთან ერთად ქართული საჭადრაკო ტრადიციების ძლიერებას ანზორ მაჩიტიძის ქალაქიც განაპირობებს.













## ილიმებიან ბროწეულები

### ლიკა ქაჯაიას გარდაცვალების გამო



გაჩხერილი მაქვს ტკივილი ყელში,
არ შემიძლია წარმოვთქვა ბგერა,
ასე მგონია, მზე იყო შენში,
და უსასრულოდ მინდოდა ცქერა.
გქონდა ღვთიური შარავანდედი,
გშვენოდა ძლიერ სამოსი ჩითის,
ქარი აკვნესდა: _ ვაიმე დედი,
შენზე მრავალი ითქმება მითი.
მშვენიერება გექცა სასჯელად,
ახლა გაცილებს ცრემლი ულევი,
შორს კი შორს, სადღაც ტაძრის მახლობლად,
ილიმებიან ბროწეულები.

**მაყვალა ჩირგაძე**

# ხსოვნა სიცოცხლის გაგრძელებაა

**ლევან გაბეჩავა**

ამჯერად იმ კაცს მოვიგონებთ, წარუშლელი კვალი რომ დაამჩნია რაიონის კულტურულ ყოფას.

შეუძლებელია ისაუბრო სამტრედიის ისტორიაზე და გვერდი აუარო ძმების, ტარიელ და სოსო ხაჟალიების ღვაწლს, ამაგს.

სამტრედიაში დაიბადა ბატონი ტარიელი, ყოფილი ლენინგრადის კულტურის ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ათეული წლები რაიონის კულტურული ცხოვრების აღორძინებას მოახმარა.

ნიჭიერმა რეჟისორმა მოღვაწეობის პერიოდში 50-ზე მეტი თანამედროვე და კლასიკური პიესა განახორციელა სცენაზე, მათ შორის განსაკუთრებით დაუვიწყარია ოტია იოსელიანის "როცა ურემი გადაბრუნდება", ნოდარ დუმბაძის "საბრალდებო დასკვნა", ლაშა თაბუკაშვილის "დარაბებს მიღმა გაზაფხულია", კიტა ბუაჩიძის "მკაცრი ქალიშვილები" და სხვა.

სამტრედიის პარალელურად ბატონი ტარიელი ხონის თეატრშიც მუშაობდა რეჟისორად.

1991-2000 წლებში კულტურის განყოფილებას ედგა სათავეში და განყოფილების თანამშრომლებთან ერთად ყველაფერს აკეთებდა, რომ შეენარჩუნებიათ რაიონის კულტურული ცხოვრების მჩქეფარე რიტმი, ტრადიციები.

_ ბედნიერი ვარ წლების მანძილზე ტარიელის მხარდამხარ რომ მიწევდა მუშაობა, ნიჭიერი რეჟისორი, მსახიობი, ერთგული მეგობარი, ღირსეული სამტრედიელი იყო ტარიელ ხაჟალია, მისმა გარდაცვალებამ ყველას დასწყვიტა გული რა დროც უნდა გავიდეს, მისი სახელი, მისი ხსოვნა არ წაიშლება თანამედროვეთა გულებში. _ საოცარი სითბოთი გაიხსენა ბატონი ტარიელი ღვაწლმოსილმა მსახიობმა, ქალბატონმა მზია ჩიხლაძემ, მანვე ერთ-ერთ ღონისძიებაზე გადაღებული ფოტოც გადმოგვცა, სადაც ბატონი ტარიელია აღბეჭდილი მეგობრებთან ერთად.

საკავშირო ფესტივალის ლაურეატობა მოუტანა ბატონ ტარიელს დიდი ჯიხაიშის საყრდენ-საჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადის "ბაღნარი" ხელმძღვანელობამ.

საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა მრავალფეროვანი რეპერტუარით ეს შემოქმედებითი ჯგუფი.

დიდია ტარიელ ხაჟალიას წვლილი რაიონის აგიტმხატვრული ბრიგადის ფუნქციონირებაში, ბრიგადის წევრები გადიოდნენ ველ-მინდვრებში, საწარმოებში და მშრომელთა მოწონებითა და სიყვარულით იყვნენ გარემოსილნი.

დაუვიწყარია ურთიერთობები, ბატონ ტარიელს "სამტრედიის მაცნეს" რედაქციასთან რომ აკავშირებდა.

ხშირად შემოივლიდნენ რედაქციაში ბატონი ტარიელი, ბატონი ოთარ შანიძე და დახვეწილი იუმორით გვანებივრებდნენ მოცალეობის ჟამს.

ტიტულოვან შემოქმედებით ფესტივალებსა და კონკურსებში მიღებული პირველი ხარისხის დიპლომები, ლაურეატობის წოდებები, თანაქალაქელთა უდიდესი სიყვარული მის ნიჭიერებაზე, ჰუმანიზმზე, უბრალოებაზე ღაღადებენ.

10 წლის წინ მოულოდნელად გარდაიცვალა.

ცრემლით გააცილა მშობლიურმა რაიონმა, თანაქალაქელებმა იგი მარადიულ სამყოფელში.

85 წელი შეუსრულდებოდა წელს ღვაწლმოსილ ადამიანს.

ნათელში იყოს!



**იყიდება**

სამოთახიანი იზოლირებული,
გარემონტებული ბინა ავეჯით.
ფასი შეთანხმებით.
მისამართი: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. № 10.
ტელ.: 557 18 55 22.



მეუღლე ნატალია გოგიშვილი, შვილები ნათია და ხატია კაჭარავები, სიძეები დიმა ნიკოლაძე და ვახო ჩიგოგიძე, შვილიშვილები ანასტასია, ანი, ნიკოლოზი იუწყებიან

**ელგუჯა კაჭარავას**

გარდაცვალებას.

**პანაშვიდი 24 და 25 ოქტომბერს, დაკრძალვა ხუთშაბათს 26 ოქტომბერს.**

---

ბადრი ვაშაკიძე ოჯახით თანაუგრძნობს ნატალია გოგიშვილს, ნათია და ხატია კაჭარავებს მეუღლისა და მამის

**ელგუჯა კაჭარავას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

**ელგუჯა კაჭარავა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნატალია და დათო გოგიშვილების ოჯახებს, ბატონი

**ელგუჯა კაჭარავას**

გარდაცვალების გამო.



შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილი, შვილთაშვილის შვილები, სიძე, რძალი გულისტკივილით იუწყებიან, ქალბატონი

**ქეთო შუბითიძის**

გარდაცვალებას. უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი ჩვენო კეთილშობილო ადამიანო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს მაკა პაპავას და მალხაზ წოწელიას ბებიის, ქალბატონი

**ქეთო შუბითიძის**

გარდაცვალების გამო.

---

დიანა და რუსუდან ნიკოლეიშვილები სამძიმარს უცხადებენ მაყვალა და რეზო შუბითიძეების ოჯახებს დედის, ქალბატონი

**ქეთო შუბითიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ამირან პაპავა ოჯახით თანაუგრძნობს მაკა პაპავასა და მალხაზ წოწელიას ბებიის, ქალბატონი

**ქეთო შუბითიძის**

გარდაცვალების გამო.

---

"საქართველოს რკინიგზას" დასავლეთის ელექტრომომარაგების სამმართველოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სამმართველოს ღვაწლმოსილი მუშაკი, კეთილსინდისიერი და შრომისმოყვარე პიროვნება, ამჟამად დამსახურებულ პენსიაზე მყოფი

**სოსო იასონის ძე ჩიტია**

და თანაუგრძნობენ რუსუდან და გიორგი ჩიტიებს მამის გარდაცვალების გამო.

# ეკალში შენიშნული ვარდის ხიბლით





**თეა ბაბუნაშვილი**

*"ვარინკობაზე" მიდიხართ? _ ზემოიმერულ კილოზე შეგვეკასუხნენ ზესტაფონის ცენტრს გაცდენილებს, ცხრაწყაროს ძებნისას. ადრიანად მოგვიწია ჩასვლა. ოქტომბრის მზიან დარს შემოდგომის სითბო ოქროჩამდგარი ტონებით აფერადებდა. სცენით შემაღლებულ ადგილზე ვარინკა წერეთლის მშობლიურ სოფელში მალე ქართული ჰანგები ჩამოჭკრავს გრძნობისა და ემოციის სიმებს.*

*მანამდე კი იმ ბანოვანი ქართველი ქალბატონის "სულიკო", სხვა მელოდიურ ქართულ ჰანგებთან ერთად, აქა-იქ ამღერებული ისმოდა ყურისა და გონების დამატკბობლად.*

*"სულიკოობა" დღევანდელი სახელია წლების წინ აღდგენილი ფესტივალისა, "ვარინკობას" რომ ეძახდა ზემო იმერეთი. მშობლიური ცხრაწყაროსა და მისი მიმდებარე სოფლებისთვის, ზესტაფონისა და სრულიად ზემო იმერეთისთვის ძალიან პატივსაცემი და საყვარელი ბანოვანის, ვარინკა წერეთლის სახელი ასე უკვდავყო არა მხოლოდ იმერეთმა, მთელმა საქართველომ. ამ ფესტივალს 80-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, ზესტაფონის რაიონის იმდროინდელი თავკაცის, მამუკა ასლანიკაშვილის მიერ. იგი საერთაშორისო ფესტივალის სტატუსსაც ატარებდა და უცხოელ შემსრულებლებსაც მასპინძლობდა. 30 წლის მივიწყების შემდეგ ფესტივალი 2007 წელს განახლდა და ყოველწლიურად იმართება ცხრაწყაროში.*

ქვეყნის ამაგდარ ოჯახში დაბადებული ვარინკა მაჭავარიანი მისი მომხიბვლელობის, მეტადრე ნიჭის წყალობით, აკაკი წერეთლის საყვარელი რძალი გახდა. მის ლექსებზე შექმნილი რამდენიმე ცნობილი სიმღერის ავტორიც სწორედ ის გახლავთ. იმ ცნობილ მელოდიებს შორის მსოფლიომ დიდი პოეტის სტროფები "სულიკოთი" გაიცნო, თუმცა არა მხოლოდ ლექსის ავტორის, არამედ ამღერებული ამ სიტყვების დამსახურებით. "ხდება ცხოვრებაში გასაოცარი ამბავი, პარიზში ფრანგები ორკესტრზე უკრავდნენ "სულიკოს". ბევრი რამ მსმენია ქვეყნად, მაგრამ ასეთი მუსიკა _ არასოდეს! _ წერდა გალაკტიონი. ლერი ალიმონაკი კი თავისი ბავშვობიდან იმ მომენტს იგონებს, გერმანელმა ტყვემ დედამისს რომ სთხოვა, თუ შეიძლება, ფორტეპიანოზე დამაკვრევინეთო, და "სულიკოს" ლამაზი მელოდია შეასრულა.

ამიტომაც "ვარინკობა"და ამიტომაც "სულიკოობა" ცხრაწყაროში. საქართველოს ყველა კუთხიდან შეეძლოთ სტუმრობა ფესტივალის მონაწილეებს, თუმცა, მხოლოდ "გულნათელი, შუქნათელი იმერეთი" ჩამოვიდა "ჩონგურზე გაბმული სიმებით" "არ დაიჯერებ, გულის სატრფო ხარო," ქართულ ჰანგებზე მოსაფერებლად.

ჟიურიც ისეთი კომპეტენტური ჰყავდა ფესტივალს, როგორიც ქართულ სიმღერას შეეფერება. ცნობილი კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, მაია ჯამალაშვილი და ზემო იმერეთის მკვიდრი, ქართული მუსიკალური ხელოვნებისთვის პატივსაცემი რუსუდან, როგორც მას ეძახიან, მაცაცო სებისკვერაძე.

ზესტაფონის გამგეობისა და კულტურის სამსახურის ძალისხმევით მოწყობილი ეს ღონისძიება საპრიზო ფონდით საკმაოდ მსუყე გახლდათ. არაერთ ნომინაციაში ფასიანი საჩუქრები საპრიზო ადგილებისა და გრან-პრის მფლობელს კი, სოლიდური ფულადი პრიზები გადაეცათ. სოფიო კოპალიანი, კულტურის სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა უფროსი სპეციალისტი, სამტრედიასთან ნათესაური კავშირის დამსახურებითაც სამტრედიელებს განსაკუთრებული სითბოთი მასპინძლობდა.

გასულ წელს ზესტაფონიდან მესამე ადგილის პრიზიორის ტიტულით დაბრუნდნენ ანა აბზიანიძის მოსწავლეები. წელს კვლავ ანა აბზიანიძის აღსაზრდელმა, ლეილუკა რუხაძემ იყოჩაღა ფესტივალზე და ასახელა კიდეც მშობლიური რაიონი.

პირველ ნომინანტად გამოსვლის პატივი ხვდა წილად სამტრედიას. ეს რომ საკმაოდ რთულია, ყველამ კარგად იცის. აკაკი წერეთლის ლექსზე დაწერილი სიმღერა "განთიადი" და რუსუდან სებისკვერაძის "იმერეთი" სცენაზე ლეილიკო რუხაძემ ააჟღერა პირველმა. ამ მუსიკალური "გამბედაობისთვის", მისი ლამაზი ბგერისთვის და პედაგოგის პროფესიონალიზმისთვის, პერსპექტიულ მომღერალ გოგონაზე რომ დახარჯა, იგი ჟიურის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. პრიზს ცალკე საუბარში ნუნუ გაბუნიასა და რუსუდან სებისკვერაძის მხრიდან სიტყვებით _ ძალიან, ძალიან კარგი გოგოა! _ გამოხატული განსაკუთრებული სიმპათია მოჰყვა.

უცხოურ ენაზე ამღერებული საქართველო, ჩრდილში დარჩენილი გენიალური ქართული პოლიფონია და ულამაზესი ქართული ჰანგი, ისევე როგორც ყველა ჭეშმარიტი პროფესიონალის, ფესტივალის კომპეტენტური ჟიურის წევრების ტკივილიც აღმოჩნდა.

"ახალგაზრდობა რომ ნაკლებად მღერის ქართულ სიმღერებს, ეს ჩემი და ალბათ, ჩემი თაობის ყველა კომპოზიტორის ტკივილია. აქვე ისიც, რომ არაა ადვილი, ქართული სიმღერა იმღერო და ქართველ მსმენელს მოაწონო. ყველა კონკურსზე უცხოური სიმღერები მიაქვთ. ხშირად ეს შედეგებზეც აისახება. იმიტომ რომ, როგორც სხვა ერის წარმომადგენელი ვერ მღერის ქართულ სიმღერას ისე, როგორც ქართველი, ვერც ქართველი მღერის უცხოურს სათანადოდ. ჩვენი თვითმყოფადობის ერთ-ერთი კი არა, უმთავრესი განმსაზღვრელი, ჩვენი კულტურაა და ეს თუ დავკარგეთ, გინდ ღვინო გავყიდოთ, გინდ ოქრო, ქვეყანას ფასი აღარ ექნება." _ ნუნუ გაბუნიას ამ სიტყვებს რუსუდან სებისკვერაძემ გულისტკივილით დასძინა: "სამწუხაროდ, ჩვენ და ჩვენი თაობის კომპოზიტორებს, ჭეშმარიტ პროფესიონალებსა და მუსიკათმცოდნეებს აღარ ეკითხებიან რა და სად იმღერონ, თორემ ასე არ წავიდოდა საქმე. ამას ან თავად შემსრულებლები, ან კულტურის სამინისტრო, ან კიდევ არ ვიცი, ვინ წყვეტს. უბრალოდ რომ ვთქვა, გული მწყდება, მეწურება, ხშირად ისეთ სიმღერას მოვისმენ საქართველოს სახელით ნამღერს." მათ ყურადღება სასიმღერო ტექსტზეც გაამახვილეს. "ტექსტი თვითონ უნდა მღეროდეს, მელოდიას ერწყმოდეს, უფრო მეტიც, ლექსის წაკითხვისას მელოდია გონებაში იმთავითვე უნდა მისდევდეს სიტყვებს. ასე იწერება კარგი მუსიკა, ასე იქმნება ჰანგი. თუ იგი სულის სიმებს არ ეხება, სიმღერა არაა. მე და ნუნუმ ვიცით, როგორ დავწეროთ კარგი სიმღერა, როგორ შევარჩიოთ ლექსი, მაგრამ ვინ რას გვკითხება."

კიდევ ერთი სამტრედიელი ფესტივალზე, მისი წამყვანი, წარმოშობით ნოღელი ლევან შანიძე გახლდათ. როგორც გაირკვა, იგი ზესტაფონის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის, გივი შანიძის ვაჟია, ჩვენი რაიონის მკვიდრი გივი შანიძისა, რომელიც უკვე 45 წელია დედაქალაქში, კულტურის სხვადასხვა სამსახურში ქართული სიმღერის სადარაჯოზე დგას. "სად დარჩა ქართული სიმღერის ადგილი და, საქართველოში! ჩვენს ქვეყანაში მას ვერავინ ამოძირკვავს. ხშირად ქართველებს ფაქტების დრამატიზება გვჩვევია, მაგრამ ამ ქართული კულტურული ძეგლის რამდენადმე უკანა პლანზე გადატანაც საყურადღებოა. აღმოსავლეთში, კახეთში ურყევად დგას ქართული სიმღერის ძლიერება. დასავლეთი მთლიანად დასაყრდენია ამ კუთხით _ გურია, სამეგრელო, იმერეთი. და ეს დღე ამის საუკეთესო მაგალითია. სვანეთზე და რაჭა-ლეჩხუმზე აღარაფერს ვამბობ. დარჩა ფაქტობრივად დედაქალაქი, სადაც თავს იყრის ის უცხოურიც და ჩვენებურიც ერთად. მე ფოლკლორის ცენტრში ვმუშაობ და უნდა გითხრათ, რომ აქტიურად დაიწყო ხალხური სიმღერისა და გალობის აღზევება. ქვეყანაში უკვე 21 სკოლაა გახსნილი, ერთ-ერთს თავად ვხელმძღვანელობ. პრიორიტეტი მათში ამ მუსიკალურ მიმართულებებს აქვს. "იუნესკო" 1990-იანი წლებიდან დაინტერესდა ქართული მუსიკალური საგანძურით, რომელმაც აღაფრთოვანა კიდეც. იმას, რომ ქართველები საერთაშორისო კონკურსებზე ხშირად უცხოური, ან საქართველოში შექმნილი არაქართული სიმღერით მიდიან, იმ კონკურსების ფორმატი განაპირობებს. დრომ მოიტანა, თუ არ ვიცი რამ, ქართულ შოუბიზნესს ტაბუ აქვს დადებული და ეს განაპირობებს კონცერტების სიმცირეს, რაც თავისთავად სიმღერის პოპულარიზაციის უპირველესი საშუალებაა. მე სამჯერ გახლდით ფესტივალ "სულიკოს" ჟიურის წევრი და მინდა გითხრათ, რომ ყოველწლიურად ვითარდება იგი. ეს არის ნამდვილი ქართული სიმღერის ფესტივალი და არაერთი მისი მონაწილე თავისუფლად დაამშვენებდა დიდ სცენებს, სადაც დღეს უგემოვნო მუსიკა უფრო ისმის." _ აღნიშნა გივი შანიძემ.

საკუთარი მოსწავლით კმაყოფილი გახლდათ პედაგოგი. თუმცა, ანა აბზიანიძე აღნიშნავდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისგან, ყველა იმ ადამიანისგან ვისაც ეს ხელეწიფება, მეტი ხელშეწყობაა საჭირო ნიჭის არდაკარგვისა და წარმოჩენისათვის. "დიახ, მნიშვნელოვანია გზა, წყალი და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, მნიშვნელოვანია ეკონომიკური წინსვლა, მაგრამ სიმღერას, მუსიკას, თეატრს, ზოგადად ხელოვნებას, მისი ადგილი და დანიშნულება აქვს და ამ მისიის გვერდზე გადაწევა, თუნდაც უმნიშვნელოდ, უპატიებელია. სამტრედიას აქვს პოტენციალი იმისა, რომ პირველი იყოს ქვეყანაში კულტურის ყველა სფეროს თვალსაზრისით. მეტი ყურადღება, თანადგომა გვჭირდება, რათა კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ. გაუგონარი შეურაცხყოფაა, რომ გეტყვიან, რა გვემღერება, სამღერლად გვაქვს საქმე? ჩემი საქმე სიმღერაა, სხვისი _ გზის დაგება და ჩვენი საქმე ყველამ პირნათლად უნდა შევასრულოთ ქვეყნის ასაშენებლად."

ეკალში შენიშნული ვარდის ხიბლად ობოლ სამშობლოზე თითქმის ყველა ენაზე ამღერებული "სულიკო", მსოფლიოში ქართველობის სიმბოლოდ იქცა. ის, რომ მას ასაკი არ აქვს, ცხრაწყაროში, იქ, სადაც პირველად გაისმა ეს უკვდავი ჰანგი, კიდევ ერთხელ დადასტურდა _ ფესტივალის ბოლო აკორდი კვლავ "სულიკო" გახლდათ, კონკურსანტების, მაყურებლების და ჟიურის მიერ ერთად ნამღერი. "სულიკოობა" "სულიკოთი" მომავალ წლამდე დაგვემშვიდობა.

---

**მაკა პაპავას!**



გილოცავთ მაკა! სიყვარულით, ბედნიერებით, ღიმილით აღსავსე დაგებედოს ყველა განთიადი, გიჯანმრთელოს მოკეთე და მოყვარე, გაგიმრავლოს ოჯახი და მეგობარი არსთა გამრიგემ. მზით დაგელოცოს დაბადების დღე!

"სამტრედიის მაცნე



**რეზო ქორიძეს!**

ჩვენს მეგობარს, ერთგულ მკითხველს, ვულოცავთ დაბადების დღეს, კეთილდღეობასა და წარმატებებს ვუსურვებთ თავის ოჯახთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

## ვულოცავთ!

**ბატონ მამუკა თავაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ, უფალმა გაგაძლიეროთ!

ვეტერანთა რაიონული კავშირი

*"სამტრედიის მაცნე" დაბადების დღეს ულოცავს მამუკა თავაძეს*

**ავთანდილ თევზაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ, გფარავდეთ უფალი.

"სამტრედიის მაცნე"

**ზაალ სტურუას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, ბედნიერ დღეთა სიმრავლეს გისურვებთ, იხარეთ, იდღეგრძელეთ.

"სამტრედიის მაცნე"

**კახა გოგიას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, უფალმა გაგაძლიეროთ.

"სამტრედიის მაცნე"



**იაკობ და თომა გიორგაძეები!**

ჩემო უსაყვარლესებო, ჩემო ტყუპებო, გილოცავთ დაბადების დღეს, ლაღ და უდარდელ ბავშვობას გისურვებთ. უფალი გფარავდეთ.

ბებიკო მზიური გიორგაძე,
დედა იამზე,
დეიდა მზევინარი და ბიძა ავთო

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა